MES 7 20 0000820343

11/09/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 27 აგვისტოს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის" გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტისდირექტორის მოადგილე;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გაგა გვენეტაძე - უმაღლესიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:**

- ელენე კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- სოფიო მგალობლიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- ნიკა დუდაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- ნათია ქაჯაია - რექტორის მრჩეველი;

2. **შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი:**

- დემეთ აქინი - რექტორი;
- გიორგი ცხვედიანი - რექტორის მოადგილე;
- ლეილა ახვლედიანი - დეკანი;
- თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ლაშა აბაშიძე - იურიდიული სამსახურის უფროსი.

3. **სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსტეტი:**

- მერაბ ხალვაში - რექტორი;
- ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე;
- თამარ მაჭუტაძე - სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი;
- ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

დიანა მჭედლიშვილი;
ლარისა პატარაია;

დავით მაკასარიშვილი;
ირმა მანჯავიძე;
ნინო ამირანაშვილი;
ანა ბაცანკალაშვილი;
ლევან ცაგარელი;
ქეთევან კანკავა.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ თვითაცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რადგან უნივერსიტეტის რექტორი, ვალენტინა საყვარელიძე ვერ ესწრება სხდომას, დაწესებულებამ ცენტრში წერილობითი ფორმით წამოადგინა მინდობილობა, რომელიც გაცემულია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ელენე კაკაბაძის სახელზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მოკლედ აღწერა განსახილველი საკითხის შინაარსი. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, მაგრამ ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულებას ერთი წლის ვადით შეეზღუდა სტუდენტთა მიღების უფლება. რის შემდგომაც, 2020 წლის 27 მაისის დაწესებულებამ წერილით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მოითხოვა აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა. ცენტრმა დაწესებულებაში განახორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შეფასდა დაწესებულების მდგომარეობა, თუ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას შესრულებული ექსპერტთა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ჯუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის წევრები, რომლებიც ვიზიტის დროს იმყოფებოდნენ დაწესებულებაში: ია ფანცულაია, რომელიც სხდომას ვერ დაესწრო, ლარისა პატარაია, დავით მაკასარაშვილი და ცენტრის წარმომადგენელი გაგა გვენეტაძე, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა ვიზიტზე. ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9-10 ივლისს, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ვიზიტის მიზანი და დანიშნულება იყო ავტორიზაციის ექსპერტებისა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულების გადამოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების

შეფასება სტანდარტული PDCA ციკლის ფაზების ოთხივე ფაზასთან მიმართებით, შესაბამისად ექსპერტთა შეფასება ძირითადად დაყრდნობილია თუ რეკომენდაციის შესრულების რა ეტაპზე იყო დაწესებულება. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულება შეიძლებოდა ყოფილიყო: დაგეგმვის ფაზაში, განხორციელების ფაზაში, შეფასების ფაზაში ან შედეგები ყოფილიყო უკვე მიღწეული და უკვე განხორციელებული ყოფილიყო პროცესზე დაკვირვება და შესაბამისი რეაგირება. შესაბამისად, შეფასება ეხებოდა აღნიშნული ციკლის მიხედვით განხორციელებულ დონეებს. შეფასება განხორციელდა ავტორიზაციის III, IV და VI სტანდარტთან მიმართებით. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ საავტორიზაციო შეფასების დროს დაწესებულებას მიღებული ჰქონდა 73 რეკომენდაცია, აქედან III, IV, VI სტადარტებთან მიმართებით დადგენილი იყო 37 რეკომენდაცია. შესაბამისიად მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა მოიაზრებდა დაწესებულების მიერ 37 რეკომენდაციის შესრულების შეფასებას, რაც დეტალურად იყო აღწერილი დაკვნაში.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების წარმომადგენლებმა ოპერატიულად მიაწოდეს წარსადგენი და ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია, ამასთანავე, ინსტიტუცია იყო თანამშრომლობაზე ორიენტირებული, იყო მშვიდი სამუშაო გარემო და ვიზიტი განხორციელდა სრული ნორმების დაცვით და ექსპერტებს ჰქონდათ ადეკვატური სამუშაო პირობები.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად, რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა ჯგუფის პოზიცია, პირველი, რაც ყველაზე მთავარი და აღსანიშნავია იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა მზაობა შეესრულებინა გაწერილი რეკომენდაციები და ამისათვის მათ გადადგმული ჰქონდათ ქმედითი ნაბიჯები ბევრი რეკომენდაციის მიმართ, თუმცა, უმეტესი მათგანი იყო უმეტესწილად დაგეგმვის ეტაპზე, რამდენიმე რეკომენდაცია იყო შესრულებული. ასევე, იყო ისეთი რეკომენდაციებიც, რომლებიც განხორციელების ფაზაში იყო გადასული, შესაბამისად გასათვალისწინებელი იყო ის პირობებიც, რომ ინსტიტუციას აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებისთვის ჰქონდა ერთ წლიანი ვადა, თუმცა დაწესებულებამ ცენტრს 4 თვეში წარუდგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში და ექსპერტის მოსაზრებით, დროის ამ მცირე მონაკვეთში რთული იყო ყველა რეკომენდაციის ოთხივე ფაზაზე შესრულება. ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულებას მოყვანილი ჰქონდა რა ფაზაზე იყვნენ თითოეული რეკომენდაციის შესრულებისას, რომელი იყო დაგეგმილი, რომელი როდის შესრულდებოდა ან როდის ელოდებოდნენ შედეგებს და ა.შ. ამიტომ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მზაობა, თუმცა, ექსპერტთა აზრით მოკლე დროისა და პანდემიის პირობების გათვალისწინებით არ იყო საკმარისი დრო, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა განეხილათ რეკომენდაციები სტანდარტების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თავდაპირველად წარმოადგინა ის რეკომენდაციები, რომელიც გაცემული იყო 2019 წლის საავტორიზაციო შეფასების დროს შესაბამისი მინიჭებული ნომრებით იმ სტანდარტების კომპონენტებში, რომელიც აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა:

სტანდარტი 3:

18. მთავარი ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში ეს გაზრდის შანსებს, რომ სტუდენტები დარჩენენ უმუშევრები ან იმუშაონ სხვა სფეროში, სადაც მათ არ აქვთ კვალიფიკაცია.

19. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება შეიძლება ახალი საგნების დამატებით, რომლებიც ინგლისურ ენაზე შეიძლება ისწავლებოდეს და ასევე, ევროპულ ენებზეც, ასევე, უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი ასეთი აქტივობებისთვის.
20. უფრო ხშირადაა ჩასატარებელია ბაზრის კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და პროგრამების ადაპტირება ბაზრის კვლევასთან.
21. საჭიროა უფრო მეტი სიცხადე თჰსუ-ში არსებულ განმარტებებთან დაკავშირებით სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების, ასევე, პროგრამების შეწყვეტის შესახებ.
22. უცხო ენების სწავლება უკეთესად უნდა იყოს ორგანიზებული იმისათვის, რომ მოხდეს სამიზნე ნიშნულების მიღწევა.
23. უფრო დეტალური მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს იმისათვის, რომ შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები და სასწავლო მასალა სპეციალური განათლების საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ხოლო ამ ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალში.
24. რეკომენდებულია, რომ ხელმისაწვდომი მონაცემები სტუდენტების სასწავლო პროგრესის შესახებ სისტემატიურად იყოს გამოყენებული, რათა იდენტიფიცირებული იყოს პრობლემები და მოხდეს მათი განვითარება.
25. სასწავლო მასალა უნდა იყოს განახლებული უახლეს გამოცემებთან მიმართებით იმისათვის, რომ სტუდენტები იყვნენ უზრუნველყოფილნი თანამედროვე მასალებით.
26. უნდა შემუშავდეს საბაკალავრო და სამაგისტრო თეზისების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უფრო დეტალური და ნათელი რეგულაციები.
27. უნდა ჩატარდეს აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, რათა ისწავლონ ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება.
28. სისტემატიური და ცხადი მიდგომა უნდა შემუშავდეს რათა მოხდეს კვლევითი აქტივობების გაძლიერება და მათი ინტეგრირება, როგორც სასწავლო პროგრამეში, ასევე, პერსონალის აკადემიური განვითარების მიმართულებით.
29. უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის თარგმნა აქტივობებში და დაინერგოს მობილობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის
30. რეკომენდებულია სწავლის შედეგების სისტემის შექმნა და უზრუნველყოფილი იყოს, რომ შეფასების საერთაშორისო სტანდარტები არის დანერგილი სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

სტანდარტი 4:

31. განსაზღვრეთ ცხადი ინდიკატორები აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;
32. შეიმუშავეთ მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულია მომავალი აქტივობების განვითარებისათვის.
33. დანერგეთ ნათელი და გამჭვირვალე მექანიზმები პერსონალის განვითარების და მოტივირების მიმართულებით.
34. გაზარდეთ დაფინანსება კადრების პროფესიული განვითარებისათვის;
35. უზრუნველყავით, რომ პერსონალის წახალისების პოლიტიკა ეფუძნება პერსონალის შეფასების შედეგებს.
36. განსაზღვრეთ აკადემიური პერსონალის შერჩევის ცხადი და გამჭვირვალე კრიტერიუმები;
37. უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი ღებულობს მუდმივად სტუდენტების მიერ გაკეთებულ მათ შემაჯამებელ შეფასებას.
38. შეიმუშავეთ მექანიზმები ადამიანური რესურსების მდგრადობის მიმართულებით.
39. გაზარდეთ აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი.

40. გაზარდეთ აფილირებული პერსონალის დაჯილდოების პოლიტიკა და უზრუნველყავით, რომ ისინი საკუთარ ინტელექტუალურ რესურსებს ახმარენ უნივერსიტეტს.
41. უნდა შემუშავდეს უფრო ცხადი პერსონალის სამიზნე ნიშნულები. ეს სამიზნე ნიშნულები უნდა ასახავდეს რეალობას და სტიმულირებას უწევდეს პერსონალს, რომ გამოყოს დრო კვლევისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის.
42. იმუშავეთ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით.
43. შეიმუშავეთ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, ასევე, აკადემიური პერსონალის აფილირებით, და უზრუნველყავით, რომ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამებში.
44. უზრუნველყავით, რომ პერსონალის დატვირთვის სქემა არის ლოგიკური, მიღწევადი და თავსებადია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

სტანდარტი 6:

58. გააძლიერეთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან.
59. განავითარეთ მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს რომ კვლევა ასევე ფოკუსირებულია რეგიონალურ და საერთაშორისო მიმართულებით.
60. აქტიურად გამოიყენეთ ყველა განსაზღვრული მექანიზმი პერსონალის მოტივირების მიზნით.
61. შეუსაბამეთ სტრატეგიულ ამოცანებს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსები.
62. რეგულარულად შესთავაზეთ აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კვალიფიკაციის განმავითარებელი აქტივობები.
63. განავითარეთ მექანიზმები, რათა გაიზარდოს პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი მაღალი ციტირების ინდექსის მქონე და იმფაქთ ფაქტორიან ჟურნალებში.
64. განავითარეთ და დანერგეთ უფრო ეფექტური მექანიზმები, რათა მოხდეს სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო აქტივობებში
65. გააძლიერეთ თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით.
66. გააძლიერეთ თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან.
67. უფრო აქტიურად გამოიყენეთ მექანიზმები, რომ მოიზიდოთ ახალგაზრდა კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი.
68. ფოკუსი გააკეთეთ სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასების ნაწილზე, ასევე, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურ რეკომენდაციებზე.
69. ჩაატარეთ კვლევები და ანალიზი ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით.

ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მესამე სტანდარტის პირველ კომპონენტში ექსპერტების მიერ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია. მონიტორინგის ჯგუფის მიერ ერთი რეკომენდაცია ჩაითვალა როგორც მეტწილად შესრულებული (რეკომენდაცია 19) ხოლო სამი რეკომენდაცია ჩაითვალა, როგორც ნაწილობრივ შესრულებული.

გარდა ამისა, ექსპერტებმა ამ სტანდარტთან მიმართებით შეიმუშავეს სამი ახალი რეკომენდაცია:

- მთავარი ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში ეს გაზრდის შანსებს, რომ სტუდენტები დარჩენენ უმუშევრები ან იმუშაონ სხვა სფეროში, სადაც მათ არ აქვთ კვალიფიკაცია.
- 2.რეკომენდებულია, ბაზრის კვლევა ჩატარდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით და განხორციელდეს პროგრამების ადაპტირება ბაზრის კვლევის მოთხოვნების შესაბამისად.
- 3. საჭიროა დაწესებულებამ გადახედოს თავის სტრატეგიულ მიზნებს პროგრამებთან მიმართებით და გაანალიზოს ზოგიერთი პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა.
-

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებამ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამასთან მიმართულებით განახორციელა ბაზრის კვლევა, ასევე, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა ინგლისურენოვან პროგრამაზე მუშაობა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციაზეც - საჭირო იყო დაწესებულებას გადაეხედა სტრატეგიულ მიზნებისა და პროგრამებთან მიმართება. მისივე განმარტებით კარგი იქნებოდა დაწესებულებას შეეფასებინა ზოგიერთი პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა. აღნიშნული რეკომენდაცია განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რამდენიმე პროგრამაზე ძალიან ცოტა სტუდენტი იყო რეგისტრირებული და აღნიშნული მონაცემები ასახული იყო ცხრილშიც.

მესამე სტანდარტის მეორე კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული იყო 8 რეკომენდაცია, აქედან ორი რეკომენდაცია (რეკომენდაცია 25 და 26) ჩაითვალა სრულად შესრულებულად, რეკომენდაცია 23 - მეტწილად შესრულებულად და რეკომენდაცია 22, 24, 27, 28 და 29 - ნაწილობრივ შესრულებულად.

ამ კომპონენტთან მიმართებით მონიტორინგის ჯგუფმა შეიმუშავა ოთხი ახალი რეკომენდაცია:

- გაძლიერდეს უცხო ენების სწავლება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობას. ინსტიტუციას გადადგმული აქვს გარკვეული ქმედითი ნაბიჯები, რომელიც დასკვნაშიც არის ნახსენები, რომ არის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის მცდელობა, გაფორმებულია ხელშეკრულებები, მემორანდუმები, მონაწილეობენ კონფერენციებში, ფინანსდება გარკვეული პერსონალი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა პანდემიის პირობებში ვერ განხორციელდა გაცვლითი პროგრამები, დაიგეგმა, როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის გაცვლითი პროგრამები, რომლებიც ვერ განხორციელდა და მუშაობა ისევ გასაგრძელებელია;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი უნდა გახდეს უფრო ქმედითი მექანიზმი, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და პროგრამების და სწავლების მეთოდების გაუმჯობესება. ამასთან დაკავშირებით დასკვნაშიც აღწერილია, რომ ანალიზს აკეთებს ინსტიტუცია, თუმცა შედეგებზე რეაგირებასთან დაკავშირებით ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვები, რადგან ინტერვიუს დროს გამოვლინდა ისეთი ფაქტიც რომ გარკვეულ საგნებში (ეკონომიკის მიმართულებით) ინსტიტუციამ განაცხადა, რომ სტუდენტთა ჩაჭრების გამო გადატანილ იქნა არჩევით საგნად და ამ ფაქტს არ გამოუვწვევია სასწავლო კურსის გაუმჯობესება ან სხვა ქმედითი ნაბიჯები, შეფასების ან სწავლების მეთოდების ცვლილება;
- დაწესებულებაში უნდა ამაღლდეს აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერება, რისთვისაც უნდა ჩატარდეს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, რათა მოხდეს ამ ღირებულებების საზოგადოების წევრებს შორის გაზიარება

და ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების ინტენსიური დანერგვა. რეკომენდაცია გამოწვეულია დაწესებულების დაგეგმილი ტრენინგებით, რომლის ნაწილი ჩატარდა, თუმცა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ეს მექანიზმი სრულად ამუშავდეს, გარდა ამისა პლაგიატის პროგრამაზე გატარებული იყო 5 საბაკალავრო ნაშრომი, ანუ ინსტიტუცია არ არის მთლიანად ჩართული;

- სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს და უფრო მეტად გაამლიეროს კვლევითი აქტივობები და მოახდინოს მათი ინტეგრირება, როგორც სასწავლო პროგრამებში, ასევე, პერსონალის აკადემიური განვითარების მიმართულებით. განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ კვლევითი აქტივობები ძირითადად დაგეგმვის ფაზაშია და განხორციელების ფაზაში ნაკლებად არის გადასული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მე-3 სტანდარტის 3.3 კომპონენტში ერთი შეუსრულებელი რეკომენდაცია იყო:

- რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი თითოეული პროგრამისათვის, მოხდეს მათი მიღწევის მაჩვენებლებზე დაკვირვება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გასაუმჯობესებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.
-

აღნიშნული რეკომენდაცია ავტორიზაციის დროსაც იყო შემუშავებული და მონიტორინგის შემდეგაც დარჩა, რადგან ექსპერტებმა ვერ ნახეს ინფორმაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ იყო შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ამ მექანიზმებზე დაკვირვების გეგმა/ინსტურმენტები, როგორ იქნება შეფასებული ან რა გეგმით განხორციელდება, აქ საუბარია არა სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემაზე, არამედ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა მესამე სტანდარტთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ექსპერტს, დავით მაკასარაშვილს.

ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ფაქტობრივად ამოწურა რეკომენდაციებზე მსჯელობა. ზოგადად ამ დასკვნას თან გასდევდა ის ფაქტი, რომ ძალიან მცირე დრო იყო ავტორიზაციიდან მონიტორინგის შეფასებამდე -, 4 თვე და დაწესებულებამ ვერ მოასწრო ბევრი რეკომენდაციის შესრულება. ექსპერტის მოსაზრებით, დაწესებულებამ იჩქარა და დროზე ადრე შეიტანა ცენტრში ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამა დააზუსტა დაწესებულებამ თავისი ინიციატივით მიმართა ცენტრს რეკომენდაციების გამოსწორების თაობაზე, თუ ეს იყო ცენტრის მოთხოვნა, რომ დაწესებულებას 4 თვეში შემოეტანა ანგარიში.

ცენტრის წარმომადგენელმა ლალი გიორგიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ თავისი სურვილით მომართა ცენტრს ავტორიზაციის გადაწყვეტილებიდან 4 თვის შემდეგ სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით და წარმოადგინა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტებს გაეგრძელებინათ განხილვა შემდეგ სტანდარტებთან მიმართებით.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა IV სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 4.1 ქვესტანდარტში გაცემული 10 რეკომენდაციიდან შესრულებული იყო - რეკომენდაცია 34, მეტწილად შესრულებული იყო - რეკომენდაცია 33, 38 და 40, ნაწილობრივ შესრულებული იყო - რეკომენდაცია 31, 32, 35, 37 და 39, შეუსრულებელი იყო - რეკომენდაცია 36.

მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტში ექსპერტებმა გასცეს ახალი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს შიდა საგრანტო კვლევით დაფინანსებული პროექტების KPI-ები და არსებული მწირი რესურსები მიზნობრივად მოახმაროს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტი პერსონალის განვითარების პოლიტიკის შემუშავებიდან აქტიურად გადავიდეს განხორციელების ფაზაში და სრულად შეასრულოს PDCA ციკლი.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმი და დროულად გააცნოს შედეგები აკადემიური პერსონალს.
- რეკომენდებულია, ზუსტად დაიგეგმოს საჭირო აფილირებული აკადემიური პერსონალის აყვანის გრაფიკი და გეგმის მიხედვით განხორციელდეს პროცესი.
- რეკომენდებულია, უსდ-მ მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ პოზიციებზე შერჩევის კრიტერიუმები, რათა დაინტერესებული პირებისთვის წინასწარვე იყოს ცნობილი წაყენებული მოთხოვნები და შედეგები გახდეს გამჭვირვალე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, ექსპერტებს დასკვნაში ორ ადგილას ჰქონდათ ნახსენები აფილირება, დაწესებულებამ აიყვანა 6 ახალი აფილირებული პერსონალი, ერთგან წერია, რომ 2019 წლის მონაცემებით იყო 23 და გახდა 27, მეორეგან კი იყო 23 და გახდა 28, მას დააინტერესა საერთო ჯამში რამდენი აფილირებული პერსონალი აიყვანეს და რა რაოდენობის აფილირებული პერსონალი ჰყავდა ინსტიტუციას იმჟამად.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰყავდა 28 აფილირებული პერსონალი და თუ 27 რატომ ეწერა პასუხის გასაცემად სიტყვა გადასცა ექსპერტ ლარისა პატარაიას.

ექსპერტმა ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ ამ პერიოდში გარდაიცვალა ერთი აკადემიური პერსონალი და შესაბამისად ამიტომ იყო საერთო რაოდენობა ასეთი..

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სტანდარტის ამ კომპონენტის ბოლო რეკომენდაციაზე. მისი მოსაზრებით, დაწესებულებამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს აკადემიურ პოზიციებზე შერჩევის კრიტერიუმები, რათა დაინტერესებული პირებისთვის წინასწარვე იყოს ცნობილი წაყენებული მოთხოვნები და შედეგები გახდეს გამჭვირვალე. ექსპერტის თქმით, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ თვითონ მარეგულირებელ დოკუმენტში პროფესორისთვის, ასოცირებული პროფესორისთვის, ასისტენტ პროფესორისთვის ერთიდაიგივე მოთხოვნები, მინიმალური სტანდარტი იყო დაწესებული. მაგალითად - სამუშაო გამოცდილება და 1 სტატია, თუმცა ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბრძანებაში აკონკრეტებდნენ მოთხოვნებს, ამიტომ სასურველი იყო გაწერილი ყოფილიყო შიდა რეგულაციაშიც, რადგან პერსონალს წინასწარ სცოდნოდა რა მოეთხოვებოდა დაწინაურებისთვის. შესაბამისად ჯობდა, უფრო მეტი კონკრეტიკა ყოფილიყო და

გამიჯნულიყო აკადემიური თანამდეობების დაკავებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იყო 4 რეკომენდაცია, რეკომენდაცია 41 და 43 შეფასდა, როგორც მეტწილად შესრულებული, რეკომენდაცია 42 და 44 - ნაწილობრივ შესრულებული.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ახალი რეკომენდაციებიც:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პერსონალის დატვირთვის კონტროლის მექანიზმი და პრაქტიკაში შეასრულოს დადგენილი სამიზნე ნიშნულები.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს აფილირებული პროფესორების რაოდენობა დადგენილი ნიშნულების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მეორე რეკომენდაცია დარჩა 2019 წლის ავტორიზაციის შეფასებიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა სიტყვა გადასცა ექსპერტ ლარისა პატარაიას, რათა შეეჯამებინა IV სტანდარტი.

ლარისა პატარაიმ განაცხადა, რომ ეთანხმება მის კოლეგებს. მისი განმარტებით, დაწესებულების თვითშეფასებით კი იყო აღნიშნული დრო საკმარისი კონკრეტული რეკომენდაციების შესასრულებლად, თუმცა, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი და შეისწავლა დოკუმენტაცია აღმოაჩინეს, რომ რიგი რეკომენდაციების შესასრულებლად არ იყო საკმარისი დრო, ამიტომ მან გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ უფრო მოგვიანებით შეიტანდა დაწესებულება განაცხადს რეკომენდაციების შესრულების მხრივ ბევრად წინ იქნებოდნენ. მისი თქმით, ძირითადად რაც ექსპერტებმა დაინახეს პოლიტიკის შემუშავების ან ნების გამოვლენის დონეზე დაწესებულება მზად იყო ცვლილებების განსახორციელებლად, თუმცა განხორციელების ფაზაში ძირითადი რეკომენდაციები მაინც არ იყო შესრულებული, ექსპერტმა გამოთქვა მზაობა კითხვებზე პასუხის გაცემისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველაფერი გასასგები იყო და მოუწოდა ექსპერტებს გადასულიყვნენ შემდეგ სტანდარტზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ VI სტანდარტზე იმუშავა ექსპერტმა, ია ფანცულაიამ, რომელიც არ ესწრებოდა საბჭოს და იგი თავად ისაუბრებდა აღნიშნულ სტანდარტზე. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა, 6.1 და 6.2 კომპონენტების მიმართ.

დიანა მჭედლიშვილის განმარტებით, დარჩენილი იყო გარკვეული რეკომენდაციები ამ სტანდარტთან მიმართებითაც. მან ზოგადად განიხილა თუ რა ნაბიჯები გადაიდგა: დაწესებულებამ აირჩია 4 ძირითადი კვლევითი მიმართულება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მედიცინა და ჯანმრთელობის მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები. ასევე გაჩნდა შიდა დაფინანსება, გრანტების პროექტების

დაფინანსების მექანიზმი, რომელიც აამუშავეს, თუმცა იყო გარკვეული ხარვეზები და დასკვნაში დეტალურად იყო წარმოდგენილი აღნიშნულის შესახებ. ამ პერიოდში დაფინანსდა სამი პროექტი:

- საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი შემცირების გზები ქვემო ქართლის მაგალითზე;
- პრეპარატ კამელინის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და მისი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე, რომელიც დაგეგმილი იყო ერთობლივად, ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან და კომპანია კამელინთან;
- პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადეზინფექციო საშუალების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ამ გამარჯვებული სამი პროექტიდან ორის ხელმძღვანელი თვითონ კვლევითი ცენტრის დირექტორი და სპეციალისტი იყო, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია კვლევების შეფასება და მონიტორინგია, შესაბამისად ეს ჩაითვალა ინტერესთა კონფლიქტად, თუმცა დაწესებულება ამას ასე არ აღიქვამდა და ჰქონდა თავისი პოზიცია. ასევე აღინიშნა, რომ პროექტებიდან მხოლოდ ერთის ხელმძღვანელი იყო დაწესებულების აფილირებული პროფესორი, ხოლო დანარჩენი ორის ხელმძღვანელი იყო ამ უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი სხვა დაწესებულებებთან აფილირებული. ექსპერტებმა ესეც პრობლემად ჩათვალეს, რადგან როდესაც დაწესებულება გარკვეულ ფინანსურ და სხვა რესურსებს გამოყოფს, უკეთესია, რომ ეს კვლევა თავად ამ უნივერსიტეტს ჩაეთვალოს და არა სხვა ინსტიტუციებს. თუმცა, სხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობა მისასალმებელი იყო. ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ კვლევები ძირითადად ფოკუსირებული იყო ადგილობრივ პრობლემებზე და ნაკლებად ითვალისწინებდა რეგიონულ/საერთაშორისო ინტერესებს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე რეკომენდაციის შესრულებისათვის დაწესებულებამ გააფორმა მემორანდუმები რუმინეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებთან, ასევე მოლაპარაკებები მიმდინარეობედა პოლონეთის უნივერსიტეტთან, გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივ გაადაიდგა. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების ერთ-ერთი აფილირებულ პროფესორს მიღებული აქვს DAAD-ის გრანტი (DAAD Research grant for University Academics and Scientists), რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა, თუმცა მაინც დარჩა ზოგიერთი რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, კვლევების შეფასებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს გარე შეფასების მექანიზმი და საჭირო იყო, კვლევა მეტად ყოფილიყო ფოკუსირებული რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებზე, შეიცავდეს სამეცნიერო ღირებულებასა და სიახლეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 6.2 კომპონენტის მიმართ ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციებიდან ძალაში დარჩა 4 რეკომენდაცია:

- სტრატეგიულ ამოცანებს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის დაწესებულებამ შეუსაბამოს განვითარების მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსები;
- დაწესებულებამ გააძლიეროს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით;
- დაწესებულებამ გააძლიეროს თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან;
- დაწესებულებამ უფრო აქტიურად გამოიყენოს მექანიზმები, რომ მოიზიდონ ახალგაზრდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალი;

ხოლო 6.3 კომპონენტის რეკომენდაციები მოიცავდა:

- დაწესებულებამ ფოკუსი გააკეთოს სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასების ნაწილზე, ასევე, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურ რეკომენდაციებზე, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები და დაგეგმა ტრენინგები, მაგრამ არა ამ მხრივ, არამედ, მაგ., როგორ უნდა გამოქვეყნდეს სტატია მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალში;
- ჩაატაროს კვლევები და ანალიზი ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით, რაც ვიზიტის დროს ვერ გამოიკვეთა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დავით მაკასარაშვილს და ლარისა პატარაიას, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება და რადგან არცერთ მათგანს არ ჰქონდა რაიმეს დამატების სურვილი, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა სიტყვა, რომ სტანდარტების მიხედვით და გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე კაკაბაძემ წარადგინა თავისი თავი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა უნივერსიტეტის რექტორი, ვალენტინა საყვარელიძე საბჭოზე ვერ ჩაერთო და როგორც მან იცის ვიზიტის პროცესშიც არ იყო ჩართული. მას დაინტერესა რა მიზეზით ხდებოდა ეს. მან აღნიშნა, რომ სამართლებრივად ეს საბჭოსთვის პრობლემა არ იყო, თუმცა საინტერესო იყო, რატომ არ მონაწილეობდა რექტორი აღნიშნულ პროცესებში.

დაწესებულების წარმომადგენეკმა, ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ ვალენტინა საყვარელიძეს პირადი პრობლემები ჰქონდა, რასაც არ ახმაურებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ მისთვის გასაგები იყო ეს ფაქტი და დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა სტანდარტების მიხედვით განეხილათ საკუთარი პოზიცია და დაეფიქსირებინათ მოსაზრებები რეკომენდაციებთან მიმართებით.

ელენე კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, აღნიშნა, რომ მოელოდა უფრო მეტს, რადგან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი აღნიშნულ დაწესებულებაში იყო ნამყოფი 2019 წელს ავტორიზაციის ვიზიტზე და მისი განმარტებით დიანა მჭედლიშვილმა იცოდა როგორი სიტუაცია იყო დაწესებულებაში მაშინდა ამჟამად. ელენე კაკაბაძის აზრით, ექსპერტს უკეთ უნდა დაენახა ცვლილებები, შესაბაამისად უფრო კარგი დასკვნის მოლოდინში იყო, რადგან იმჟამად დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა გაუმჯობესებული იყო, რაც მისი თქმით, დიანა მჭდლშვილმაც აღნიშნა ვიზიტის დასრულების შემდეგ გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მგომარეობა რომ გამოსწორებულია საბჭოს მიმდინარეობის დროსაც აღინიშნა ექსპერტების მხრიდან, თუმცა საკამათო იყო რამდენად საკმარისი იყო აღნიშნული გაუმჯობესება იმისათვის, რომ დაწესებულებას მოხსნოდა სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ პანდემიის პირობებში დაწესებულებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყველა რეკომენდაციაზე ემუშავა, მათთვის არ იყო ეს მხოლოდ, III, IV და VI სტანდარტის რეკომენდაციები, მათ გაითვალისწინეს

დანარჩენი 73 რეკომენდაციაც, თუმცა რამდენად მართებული იყო თავის დროზე გაცემული აღნიშნული რეკომენდაციები მისთვის ესეც საეჭვო იყო.

თამარ ზარანდიამ ელენე კაკაბაძეს მოუწოდა, რომ უფრო მეტად ესაუბრა საგნობრივ დეტალებზე და კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო და განაცხადა, რომ ყურადღებას გაამხვილებდა იმ ფაქტზე, რომ მისი მოსაზრებით მონიტორინგის ჯგუფმა ობიექტურად არ შეაფასა ინსტიტუციაში არსებული მდგომარეობა და ამას საბჭოც დაინახავდა. აღნიშნული ყველაზე მარტივად ჩანდა დაწესებულების სტანდარტებისა და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელ ცხრილში, სადაც ფორმალურადაც კი არ არის არცერთი შეფასება შეცვლილი, ანუ ეს ცხრილი იყო წინა დასკვნის იდენტური. თუ დაწესებულებამ გააუმჯობესა, რეკომენდაცია გაითვალისწინა, გამოასწორა და ა.შ. ეს ფორმალურად შესაძლებელი იყო ამ ცხრილში დაფიქსირებულიყო, თუმცა წინა შემაჯამებელ ცხრილსა და ანგარიშის დასკვნის შემაჯამებელ ცხრილს შორის არაფერი სხვაობა არ ყოფილა.

რაც შეეხებოდა უშუალოდ რეკომენდაციებს, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია 1 იგივე იყო, რაც 3.1 კომპონენტის შეფასებისას გაცემული რეკომენდაცია 18 და რეკომენდაცია 20 გაერთიანებული. ბაზრის კვლევაზე მან განაცხადა, რომ ყველა პროგრამა, რომელიც ჰქონდა დაწესებულებას, 6 აკრედიტებული პროგრამა, იყო ახალი აკრედიტებული. მათი აკრედიტაცია მოხდა 2017-2018 წლებში და შემდეგ ჰქონდათ ორ პროგრამაზე წარსადგენი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები, რომლებიც ცენტრის მიერ ცნობად იყო მიღებული 1 თვის წინ, რაც გულისხმობდა, რომ მათი ყველა პროგრამა იყო ახალი და ყოველ წელს არცერთი უნივერსიტეტი არ ახორციელებდა ბაზრის კვლევას, ეს არ იყო მარტივი, ფუფუნებაა თუ კვლევა ნორმალურად კეთდებოდა. მათ კი ჰქონდათ კონსორციუმის მიერ მიწოდებული ბაზრის კვლევა და ანალიზი, საუბარი იყო ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვან პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ჰყავდათ ქართულენოვან პროგრამაზე და კიდევ რა ენაზე ჰქონდათ ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ამჟამად იყო აქტიური 528 სტუდენტი, წლების განმავლობაში სტატუსშეჩერებული - 314 სტუდენტი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდათ ქართულენოვან ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაზე. ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ ქართულენოვან ბიზნეს ადმინისტრირებაზე დაახლოებით 150-მდე სტუდენტი ყავდათ

თამარ ზარანდია დაინტერესდა კიდევ რა ენაზე ხორციელდებოდა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა ხორციელდებოდა რუსულ ენაზეც. თამარ ზარანდიამ ჰკითხა რამდენი სტუდენტი იყო რუსულენოვან პროგრამაზე. ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ რუსულენოვან პროგრამაზე უფრო მეტი სტუდენტი იყო ვიდრე ქართულენოვანზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაესახელებინა დაახლოებითი რაოდენობა, რაზეც ელენე კაკაბაძისგან პასუხად მიიღო, რომ ზუსტად არ იცოდა ციფრები და მისი აზრით დასკვნაში უნდა ყოფილიყო მითითებული წინა გვერდზე.

თამარ ზარანდიამ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს თუ ჩატარდა ბაზრის კვლევა არაქართულენოვან პროგრამასთან მიმართებით.

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების დებულება ითვალისწინებდა პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეწყვეტის, გაუქმების წესს, სადაც გარკვევით ეწერა რა შემთხვევაში ხდებოდა ბაზრის კვლევის განხორციელება, რომ ძირითადად ხდებოდა, ახალი პროგრამის შემუშავებისას ან, როდესაც მნიშვნელოვანი მოდიფიცირება შეიძლება განხორციელებულიყო სხვადასხვა გარემოებების გამო, მაგ., როდესაც ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო და კლასიფიკატორი იქნა მიღებული, შესაბამისად ყველა დაწესებულება იყო ჩართული ამ პროცესში, გეგმა-გრაფიკი იყო შედგენილი, რომელი პროგრამები, რომელ წლებში გაივლიდნენ აკრედიტაციას, ანუ ამ შემთხვევაში მათ ქართულენოვანი სტომატოლოგია უწევდათ სექტემბერ-ნოემბერში და აპირებდნენ, რომ ჩაატარებინათ ბაზრის კვლევა.

თამარ ზარანდიამ ჰკითხა სტომატოლოგიას მარტო ქართულ ენაზე ახორციელებდნენ თუ სხვა ენებზეც.
ელენე კაკაბაძემ უპასუხა რომ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ხორციელდებოდა სწავლება აღნიშნულ პროგრამაზე.

თამარ ზარანდია დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ჰყავდათ ამ მიმართულებით სხვადასხვა ენოვან პროგრამაზე. ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ შეეძლო საერთო ჯამი ეთქვა, უცხოელებისა და ქართველების, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ცალ-ცალკე უფრო საინტერესო იყო საბჭოსთვის. ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ სხდომის დასრულებამდე მიაწვდიდა სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი ზუსტ ციფრებს, რადგან არ უნდა რომ შემცდარიყო.

თამარ ზარანდიას თქმით, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგები იყო, დაწესებულება ამას გეგმავდა ერთ პროგრამასთან დაკავშირებით და ქართულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირებისთვის ეს უკვე ჰქონდათ.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ როდესაც ხდებოდა პროგრამის შემუშავება, ისინი ინტერნეტის საშუალებით ადევნებენ თვალ-ყურს რა ხდებოდა ბაზარზე, რა სიახლეები იყო, თუმცა ყოველ წელს არცერთი უნივერსიტეტი არ ატარებდა ბაზრის კვლევას და არც სტანდარტი ავალდებულებდათ მათ ამას, რომ იმპერატიულად ბაზრის კვლევა უნდა ჰქონოდათ განხორციელებული და ა.შ. შესაბამისად მისი აზრით, ეს რეკომენდაცია „ნაწილობრივ შესაბამისი“ არ იყო, აღნიშნა, რომ ეს იყო ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა და ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა საერთოდ არ ჰქონდა დაწესებულებას. არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირეს, თუმცა ეჭვს გამოთქვამდა, რომ ექსპერტებმა საერთოდ არ წაიკითხეს არგუმენტირებული პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დიანა მჭედლიშვილს.

დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ელენე კაკაბაძის პათოსს ვერ გაითვალისწინებს, მაგრამ უნდა თქვას, რომ მათ მართლაც დაწერეს პირველად დასკვნაში ინგლისურენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა, შემდეგ წაიკითხეს არგუმეტირებული პოზიცია, ამოიღეს და ქართულენოვანი პროგრამით გაასწორეს, თუმცა დეკანთან ინტერვიუს დროს, მან თქვა, რომ მუშაობდნენ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამაზე და შესაბამისად ბაზრის კვლევა უნდა განხორციელდეს ამ მიზნითაც. დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მან აღწერა რატომ ჩაწერეს პირველად ვერსიაში, შემდეგ კი გაითვალისწინეს და გაასწორეს საბოლოო დასკვნის ცენტრში წარმოდგენისას.

ელენე კაკაბაძემ დააზუსტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ეს გაითვალისწინა დასკვნის პირველ გვერდზე, თუმცა საბოლოო დასკვნაში გვ. 19-ზე ისევ ეწერა ინგლისურენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა.

თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ საბჭო ამას მიიღებდა მხედველობაში და ელენე კაკაბაძეს მოუწოდა გაეგრძელებინა რეკომენდაციების განხილვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაცია 19-ზე განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია იყო მეტწილად შესრულებული, თუმცა არ ეთანხმებოდა ექსპერტებს, რადგან საუბარი იყო მხოლოდ 2 პროგრამაზე და დანარჩენ პროგრამებზე საუბარი საერთოდ არ არ იყო და დასკვნასი ასევე ნახსენები იყო სამართლის პროგრამაც.

თამარ ზარანდიამ დააზუსტა საუბრობდა თუ არა უცხოენოვანი მოდულის დამატებაზე. ელენე კაკაბაძემ განმარტა, რომ საუბრობდა რეკომენდაცია 19-ზე, რომელიც მოიცავდა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების შესაძლებლობას ახალი საგნების დამატებით, რომლებიც ინგლისურ ენასა და სხვა ევროპულ ენებზე შეიძლება ისწავლებოდეს, ასევე, უნდა გაზრდილიყო ბიუჯეტი ასეთი აქტივობებისთვის. თუმცა, ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით აქვე განაცხადა, რომ ის უკვე ორჯერ გაიზარდა და ეს რეკომენდაცია შესრულებული იყო. მან აღნიშნა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამას შემდეგი სემესტრიდან ემატებოდა არჩევითი უცხოენოვანი საგნები და აღნიშნული ცვლილება განცორიელდებოდა სექტემბრიდან, რადგან დამატება მოხდა სემესტრის დასრულების შემდეგ. კონკრეტულად ის ის გულისხმობდა ინგლისურენოვან 30 კრედიტიან მოდულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში ეწერა სამართლის ფაკულტეტზე ბაზრის კვლევის დაგეგმვაზე, რაც საინტერესო იყო საბჭოსთვის.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ სამართლის პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2018 წლის დეკემბერში, ანუ ის იყო ახალი აკრედიტებული, ძალიან კარგი შეფასება ჰქონდათ და უპირობოდ მიიღეს აკრედიტაცია. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ამ პროგრამაში ვერ ნახეს ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი საგნები, რომელიც გათვალისწინებულია მოდულების მიხედვით არჩევით საგნებში, ეს არის „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“ (ინგლისურ და გერმანულ ენებზე), რომელსაც ზურაბ მაჭარაძე კითხულობდა, „საერთაშორისო კერძო სამართალი“ (ინგლისურ ენაზე), რომელსაც ვახტანგ ზაალიშვილი კითხულობდა და საგანი - „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ზურაბ მაჭარაძე ინგლისურადაც და გერმანულადაც კითხულობდა თუ არა. ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ ინგლისურად კითხულობდა, უბრალოდ მათ ჰქონდათ საგანი გერმანულ ენაზეც, ასევე ჰქონდათ „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ (ინგლისურ ენაზე), რომელსაც დავით გეფერიძე კითხულობდა, შესაბამისად მათთვის გაუგებარი იყო რატომ არ აისახა დასკვნაში, მითუმეტეს სილაბუსებიც იყო გადაგზავნილი ექსპერტებთან.

თამარ ზარანდიამ დააზუსტა უკვე შეთავაზებული იყო თუ არა ეს საგნები და რომელი სემესტრის სტუდენტებს სთავაზობენ, მაგ., პირველ კურსელს შეეძლო აეღო თუ არა ეს საგანი. ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ დაწესებულებას 30 წლიანი გამოცდილება ჰქონდა. თამარ ზარანდიამ დააზუსტა, რომ საუბრობდა სამართლის პროგრამაზე, აკრედიტებულ პროგრამაზე,

და ასევე იკითხა თუ როდის ჰქონდათ მათ პირველი მიღება. ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ ეს ახლა არ გაუათვალისწინებიათ, მანამდეც ჰქონდათ ეს საგნები ძველ პროგრამაში.

თამარ ზარანდია დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ამ პროგრმაზე მიღების წინაპირობად ინგლისური, თუ ეს რაკი არჩევითი საგანია, მხოლოდ ისეთი სტუდენტები გაივლიდნენ, ვისაც ჰქონდა შესაბამისი ცოდნა. ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ზუსტად ეს უნდა ეთქვა, რომ ეს არ იყო სავალდებულო საგნები.

თამარ ზარანდიამ დააზუსტა, იყო თუ არა ეს საგანი შეთავაზებული რომელიმე სემესტრში.

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ შეთავაზებული იყო არჩევთ საგნებში, მოდულების მიხედვით ჰქონდათ განაწილებული არჩევით საგნებში, რომლებიც მესამე კურსის მეორე სემესტრში იყო გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დიანა მჭედლიშვილის თქმით ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავდნენ ამის განხორციელებას და არ თქმულა, რომ ეს უკვე განხორციელებული იყო. ასევე ექსპერტებს არ ქონდათ წვდომა სილაბუსებთან, როდესაც გაიწერა რეკომენდაციები და შესაბამისად ვერ დაინახეს, რომ დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა მსგავსი ტიპის საგნებს.

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არ ჰქონდათ სილაბუსებთან წვდომა, მათ პაკეტი ყველა პროგრამა და ყველა სილაბუსი გაატანეს ექსპერტთა ჯგუფს, რისი დამტკიცებაც მარტივად შეიძლებოდა, რადგან აღნიშნული ინფორმაცია მათ ექსპერტებს ელექტრონული ფორმით გადასცეს ცენტრის წარმომადგენელთან ერთად.

დიანა მჭედლიშვილის განცხადებით სილაბუსის პაკეტში ამ საგნების სილაბუსების ჩასმა არ ნიშნავს, რომ პროცესი უკვე განხორცილედა და მათ დაიწყეს აღნიშნული საგნების სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შეაფასებდა ამ გარემოებებს და სიტყვა გადასცა საბჭოს წევრ, მაია მანწკავას.

საბჭოს წევრი მიესალმა სხდომის თითოეულ მონაწილეს და გამოთქვა მათდამი პატივისცემა, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დიანა მჭედლიშვილს დეტალური დასკვნისათვის , და დასკვნის შესახებ განაცხადა, რომ მას ესმოდა დაწესებულების ეს პათოსი და განცდა, რაც გამოწვეული იყო მათი სიყვარულით და იმ შრომით, რომელიც გაწიეს ამ დაწესებულებისთვის, თუნდაც ამ ოთხი თვის განამვლობაში და საბჭოს წევრები ძალიან მოხარულები იყვნენ, რომ დაწესებულების წარმომადგენლები უნივერსიტეტის ასეთი პატრიოტები იყვენენ, რაც ნამდვილად ჩანდა მათ ზრდაში. დასკვნის შესახებ, მაია მანწკავამ განაცხადა, რომ იყო ძალიან კარგი და კვალიფიციურად შედგენილი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ყველა დეტალი იყო ძალიან მტკივნეული, თუ რაღაც არ იყო მაქსიმალურად კარგად და ესმოდა მათი.

მისივე განმარტებით, განათლების სისტემა ფედაფეხ წაყვა COVID-19-ს და მისგან გამოწვეულ პრობლემებს სათანადოდ გაუმკლავდნენ, როგორც აღნიშნულ უნივერსიტეტში ასევე სხვა უნივერსიტეტებიც. აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა დაწერეს ნამდვილად სრულყოფილი დაკვნა. მისი მოსაზრებით, კვლევით ნაწილში დაწესებულებას ჰქონდა პროგრესი.

ელენე კაკაბაძემ დაამატა, რომ დაწესებულების სტატუსი იყო სასწავლო უნივერსიტეტი და კვლევითი კომპონენტის შეფასებისას ეს გარემოებაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ მათ ექსპერტთა ჯგუფთან არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ. მათ შეეძლოთ მოეთხოვათ მაგალითად დიანა მჭედლიშვილის მიმართ აცილება, რადგან ჰქონდა ამის საფუძველი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც ითვალისწინებდა ამას, მაგრამ ეს არ უქნიათ, რადგან სურდათ, რომ დიანა მჭედლიშვილს დაენახა, რომ ბევრი გააკეთეს უნივერსიტეტში და კონფლიქტურად არ არის განწყობილი, თუმცა ეს მისი უნივერისტეტი იყო და უნდა დაემტკიცებინა უნივერსიტეტის პოზიცია და საბჭოს წევრებისთვის ეჩვენებინა დაწესებულების დადებითი მხარეები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ რადგან საბჭო უკვე იცნობდა დასკვნას უშაუალოდ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრა და შემდეგ დაუსვამდნენ საბჭოს წევრები კითხვებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ ექსპერტთა დასკვნიდან წაიკითხა ერთ-ერთი განმარტება: „უნივერსიტეტმა დოკუმენტურად გამართა და სტანდარტებს შეუსაბამა პროგრამების შეწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მიუხედავად ამისა, ვიზიტისას გამოვლინდა რიგი შემთხვევები პროგრამაში ცვლილების შეტანის, რომლებშიც დოკუმენტში აღწერილი ყველა მხარე არ იყო ჩართული....“ დაწესებულების წარმომადგნელმა განაცხადა, რომ მათ ეს მხოლოდ დოკუმეტურად კი არ ჰქონდათ გამართული, ეს პრაქტიკაშიც აქვთ გამოყენებული, იგივე პროგრამის შეწყვეტასთან დაკავშირებით. 2019 წელს მათ ჰქონდათ მედიცინის პროგრამა, რომელიც შეწყდა, მათ განათლების სამინისტროდან და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დაწყებული ყველა საფეხური დოკუმენტურად გაიარეს, ანუ პრაქტიკაშიც აქვთ განხორციელებული, შეწყვიტეს პრაქტიკა, მოახდინეს სტუდენტების მობილობით გადაყვანა, ზოგიერთმა სტუდენტმა, ვინც ვერ მოახერხა მობილობა, დაწესებულებამ სტომატოლოგიაზე გადაიყვანა, რომ გარეთ არ დარჩენილიყვნენ და ასეთ სტუდენტებს შემდეგ მობილობამდე უფასოდ ასწავლეს, შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მათ კი არ ჰქონდათ, არამედ ახორციელებენ კიდეც, და ზუსტად ინდივიდუალური გეგმით მოხდა ამ სტუდენტებისთვის საგნების შერჩევა და მათთვის შეირჩა ისეთი საგნები, რომლებიც შემდეგ მობილობით გადასვლის შემთხვევაში კრედიტების აღიარება მოხდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ განაცხადა, რომ არავინ არ იცოდა სად გადადიოდა სტუდენტი და მას უღიარებდნენ თუ არა კრედიტებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ დაამატა, რომ საუბარი იყო მედიცინასთან მიახლოებულ საგნებზე, არა უშუალოდ სტომატოლოგიის, არამედ მედიცინასთან მიახლოებული საგნები შეირჩა, რომ კრედიტები გამოეყენებინათ გადასვლის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელი, ელენე კაკაბაძე გადავიდა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც მოიცავდა უცხო ენის სწავლების გაძლერებას. მისი გამარტებით, უნივერსიტეტში ნამდვილად დაინერგა უცხო ენის კურსები პერსონალისთვის და ექსპერტებს აჩვენეს კიდეც, რომ მიმდინარეობდა „ონლაინ“ რეჟიმში ლექციები და დაწესებულებისთვის გაუგებარია რატომ ჩათვალა ნაწილობრივ შესრულებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ დააზუსტა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლისგან თანხმობა მიიღო, რადგან ექსპერტის ჩანაწერში ეწერა რომ გაკეთდა, შეიქმნა და მიმდინარეობდა ინგლისური ენის კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ შეახსენა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, რომ საბჭო არის შეფასებისთვის, ისინი უსმენდნენ ექსპერტებისა და უნივერსიტეტის პოზიციას, ასევე გასაგებია, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტებს, თუმცა შეფასების დისკრეტდიტაცია ამ შემთხვევაში საბჭოზე იყო დამოკიდებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რატომ ვერ მოხერხდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გასაუბრება ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.

დაწესებულების წარმოამდგენელმა, განაცხადა რომ ამ საკითხზე არგუმენტირებულ პოზიციაშიც დააფიქსირეს, რომ ხელმძღვანელებთან ინტერვიუები უნივერსიტეტში ჩატარდა და ყველა შეთანხმებული იყო როდის უნდა მისულიყვნენ, თუმცა როდესაც არ მივიდა ინგლისურენოვანი პროგრამი ხელმძღვანელი უნივერსტეტის წარმომადგენლება გადაწყვიტეს, რომ დაკავშირებოდნენ, თუმცა ტელეფონი გათიშული ჰქონდა და რამდენიმე დღის შემდეგ გაარკვიეს რომ ეს ქალბატონი იყო კარანტინში და აღმოჩნდნენ ცუდ სიტუაციაში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თვითონ დაგეგმეს ეს ყველაფერი და უნდოდათ განხორციელებულიყო აღნიშნული შეხვედრა. რაც შეეხება ინგლისურენოვან სტუდენტებს, ჰყავთ 4 სტუდნეტი ინგლისურენოვან სტომატოლოგიაზე და ოთხივე იყო ირანელი და ჩართეს სტუდენტები ელექტრონულად, ექსპერტებმა ნახეს კიდეც ეს, თუმცა კავშირი ვერ განხორციელდა, რადგანა ირანთან ინტერნეტის სუსტი მიწოდება იყო. ლექციების პროცესშიც, როდესაც სტუდენტები ვერ ერთვებოდნენ ონლაინ, დაწესებულება ან Facebook-ის საშუალებით ან სხვა მეთოდებით უგზავნიდნენ სტუდენტების ჩანაწერებს, კონსპექტებსა და სალექციო კურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ დააზუსტა ჰქონდა თუ არა რაიმე ელექტრონული პორტალი დაწესებულებას, რადგან სოციალური ქსელის გამოყენება სასწავლო პროცესში სასწავლო მიზნებისთვის მთლად გამართლებული არ იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰქონდათ ელექტრონული ბაზა სტუდენტებთან საურთიერთობოდ და საიდანაც მოხერხდებოდა მასწავლებლების მხრიდან სტუდენტებისთვის მასალების მიწოდება იქიდან ხდებოდა მიწოდება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით რეკომენდაცია 23, რომელიც ეხებოდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც მათ შემუშავებული აქვთ და პრაქტიკაშიც გამოიყენეს, როგორც უკვე აღნიშნა, როდესაც მედიცინის სტუდენტები სტომატოლოგიაზე გადაიყვანეს, სწორედ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სრულებით უფასოდ სწავლობდნენ ერთი სემესტრის განმავლობაში და შემდეგ გადავიდნენ მედიცინის პროგრამაზე სხვა უნივერსიტეტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ წაიკითხა რეკომენდაცია 24-ის ნაწილი ექსპერტთა დასკვნიდან: „მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკავრო პროგრამაზე გადავიდა არჩევით ბლოკში, ნაცვლად მისი შინაარსობრივი გადახედვის და მოდიფიცირებისა.“ ხდებოდა თუ არა ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჩაჭრის მაჩვენებლიდან გამომდინარე, რომელი საგანი იქნებოდა არჩევითი და რომელი სავალდებულო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ უარყო საბჭოს თავმჯდომარის ნათქვამი და განაცხადა, რომ ფაკულტეტის საბჭოს ოქმშიც აქვთ დაფიქსირებული თუ რატომ მოხდა ამ საგნის და არა მხოლოდ ამ საგნის გადატანა არჩევით ბლოკში. ბიზნეს ადმინისტრირების ახალი პროგრამა შეიმუშავეს, შესაბამისად ჩაატარეს შრომის ბაზრის კვლევა და გაითვალისწინეს ახალი სტანდარტები. შესაბამისად, იმსჯელეს, რომ მიკორეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები გაეერთიანებინათ, რაც მენეჯმენტის პროგრამის სტუდენტისთვის იქნებოდა სრულიად საკმარისი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დიანა მჭედლიშვილს და კითხა რამ განაპირობა ეს შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საჭიროება გამოიკვეთა დაწესებულებაში ინტერვიუების დროს. დაწესებულების წარმომადგენლიმა, ელენე კაკაძემ განაცხადა, რომ თვითონ ესწრებოდა აღნიშნულ ინტერვიუს და იგი ვერ გაიზიარებდა ჯგუფის შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა რომ მოისმინეს ორივე მხარის პოზიცია, საბოლოო გადაწყვეტილებას საბჭო მიიღებდა ყველა გარემოების შეჯერების საფუძველზე. მან დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა გაეგრძელებინა საუბარი რეკომენდაციებზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სადაც ნახეს ეს საგანი ყველგან ისწავლებოდა ისე, როგორც საფუძვლები და დაწესებულებას მაშინ, როდესაც იყო მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკაში გაღრმავებული კურსი, ესენი საერთოდ აღარ ხვდებათ ან არჩევით მოდულებში ჰქონდათ ყველას გადატანილი, ან თუ მაინცდამაინც ჰქონდათ წმინდა ეკონომიკური მიმართულება იქ ჰქონდათ ეს საგნები, აღნიშნული პროგრამა კი ბიზნეს ადმინისტრირება, მენეჯმენტი იყო. მისი განმატებით, მენეჯმენტში არ იყო საჭირო ასე რთულად დასაძლევი/მათემატიკური საგნები ყოფილიყო. თუმცა ეს საგანი არჩევით ბლოკში გადაიტანეს, სტუდენტს სურვილის შემთხვევაში შეეძლო გავლა, თუმცა საფუძვლებს ისედაც სწავლობდნენ სავალდებულოში. რეკომენდაცია 25 და 26 იყო შესრულებული. რეკომენდაცია 27-თან დაკავშირებით ელენე კაკაბაძემ სიტყვა გადასცა დაწესებულების იურისტს - ნიკა დუდაშვილს.

დაწესებულების იურიდიული სამასხურის უფროსმა, ნიკა დუდაშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად არის ჩათვლილი და აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ დაიწყო ტრენინგების ჩატარება და ძირითადად ის დაგეგმვის ფაზაშია, დაწესებულებისთვის გაუგებარია თუ ჩატარდა როგორ იყო დაგეგმვის ფაზაში, რადგან დაგეგმვა ნიშნავდა ჯერ არ ჩატარებულს, წინასწარ იგეგმებოდა და შემდეგ ტარდებოდა, თუმცა რეკომენდაციაში ეწერა რომ ტრენინგების ჩატარება უკვე დაწყებული იყო, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგები ანტი პლაგიატის პროგრამასთან დაკავშირებით, ანუ შექმნილი იყო შესაბამისი პრეზენტაცია, რომელიც გაგზავნილი იყო სტუდენტებთან, 5 საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც უკვე შემოწმდა ამ პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა რა მიამრთლებით შესრულდა აღნიშნული 5 საბაკალავრო ნაშრომი. იურისტმა განაცხადა, რომ ეს იყო სამართლისა და ბიზნესის მიმართულებით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდათ აღნიშნულ სემესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა დააკონკრეტა, რომ ამ 4 კურსდამთავრებულს გულისხმობდა წინა სემესტრს და მიმდინარე სემესტრში. ნიკა დუდაშვილი საბჭოს სხდომას გამოეთიშა ინტერნეტის ხარვეზის გამო.

უნივერისტეტის წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომებს და იმას რაც ექსპერტებს წარუდგინეს ეს იყო ტესტირების რეჟიმში გაკეთებული 5 საბაკალავრო ნაშრომი, რაც უნივერსიტეტში იყო, ორი იყო სამართლის მიმართლებით და 3 ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, მაგრამ ამ სემესტრში საბაკალავრო ნაშრომის დაცვა იყო 30 ივლისს (ექსპერტების ვიზიტი იყო 9-10 ივლისს), შემოწმებულ იქნა 30 საბაკალავრო ნაშრომი სრულყოფილად ანტიპლაგიატის პროგრამით. ამ პროცესში აბსოლუტურად ჩართული იყო როგორც დეკანი, ისე აკადემიური პერსონალიც.

ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის საფუძველზე, სხდომას შემოუერთდა დაწესებულების იურისტი, ნიკა დუდაშვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს შესთავაზეს პრეზენტაციები ამ თემაზე, რომლებიც ვებგვერდზეც ჰქონდათ ატვირთული, ცალკე აკადემიური პერსონალისთვის და ცალკე სტუდენტებისთვის. ელენე კაკაბაძემ თქვა, რომ ის დარწმუნებულია, რომ ვიზიტის დროს სტუდენტები აღნიშნავდნენ ამ პრეზენტაციასთან მიმართებით, რომ მათ იცოდნენ პლაგიატის საწინააღმდეგო ინსტრუქციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ აბსლუტურად თუ რაიმე შეიძლებოდა ყველაფერი გაკეთებულია დაწესებულების მხრიდან ამ მიმართულებით.

დაწესებულების იურისტმა ისაუბრა რეკომენდაცია 28-ის შესახებ, რომელიც ნაწილობრივ შესრულებულია, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გააგრძელა კვლევითი აქტივობები, ანუ მათ მიერ არამარტო კვლევით შიდა საგრანტო კონკურსიია დაფინანსებული, არაამედ უნივერსიტეტში ჩატარდა 3 კონფერენცია ექსპერტთა ვიზიტამდე, 1, 2019 წლის 20 დეკემბერს სამედიცინო მიმართულებით, ხოლო 2020 წლის ივლისის თვეში ძატარდა ზუმის საშუალებით კონფერენცია „სამართლის აქტურ საკითხებზე პანდემიის პირობებში“ და ეკონომიკის ფაკულტეტმა ჩაატარა „ეკომიკისა და ბიზნესის პრობლემები და გამოწვევები პანდემიის პირობებში“. დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, როდესაც დაწესებულებამ შეძლო ამდენის გაკეთება არ არის საჭირო, რომ ჩაითვალოს ნაწილობრივ შესაბამისი. რადგან უნდა იყოს სულ მცირე მეტწილად შესაბამისი მაინც.

რეკომენდაცია 29-სთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელიმა განაცხადა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პანდემიის გამო მოხდა ასე, მათ სტუდენტიც ყავდათ რუმინეთის პიტერსის უნივერსიტეტთან, ორმხრივი მიწვევა მიიღეს სტუდენტისაც და აკადემიური პერსონალისაც, Erasmus+ის პროგრამის მხარდაჭერით ხდებოდა ეს ყველაფერი. ასევე უნდა ჩამოსულიყო რუმინელი პროფესორი და პანდემიის გამო ვერ ჩამოვიდა, თუმცა ასევე თანამშრომლობდნენ გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან და ჰქონდათ გაცვლითი პროგრამა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. მისი განმარტებით შერჩეული ყავდათ სტუდენტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან, რომელიც აპრილში უნდა გამგზავრებულიყო. ის იმედოვნებს, რომ პირველ ოქტომბერს, თუ კი გაიხსნებოდა გზები და იქნებოდა შეუფერხებელი მიმოსვლა ეს სტუდენტი გაიგზავნებოდა სასწავლებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს კომპონეტიც დაგეგმვის პროცესში იყო. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროცესი იყო დაწყებული, რომ მათ ჰქონდათ მოლაპარაკებები, „ონლაინ“ შეხვედრები, პროცესი დაწყებულიც იყო და მიმდინარეობდა კიდეც, მათ ჰქონდათ ონლაინ ურთიერთობა აღნიშნულ უნივერსიტეტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ჰქონდა თუ არა რომელიმე სტუდენტს უნივერსიტეტიდან მიწვევა მიღებული.

უნისვერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპლიკანტმა შეავსო აპლიკაცია. მისივე განმარტებით, თუ არ მოხდებოდა გზების გახსნა და ისევ იგივე ეპიდემიოლოგიური სიტუაცია იქნებოდა, პირველი ოქტომბრიდან „ონლაინ“ რეჟიმში განხორციელდებოდა სწავლება ამ სტუდენტთან მიმართებით.

3.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ექსპერტების დასკვნაში ეწერა, რომ უნივერისტეტს არ გააჩნდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მითუმეტეს როცა აღნიშნული იყო წინა რეკომენდაციაც, და მათ შეიმუშავეს ახალი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელსაც ჰქონდა დანართი, რომელიც ამობეჭდა და არც ექსპერტებს მოუთხოვიათ და მასაც არ მიუწოდებია ექსპერტებისვის. მისივე განმარტებით აღნიშნული ინფორმაცია იდო ვებგვერდზე, შესაძლებელი იყო ენახათ აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც იყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი იყო 4 მუხლიანი: „I ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, სწავლის შედეგების კურიკულუმების რუკა, შეფასების რუბრიკები, შეფასების ხერხები, II - სამიზნე ნიშნულები და შედეგების შეფასების მონიტორინგი, III - სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, IV - შედეგების განხილვა და რეაგირება.“ ელენე კაკაბაძის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტი არ იყო მოთხოვნილ დოკუმენტაციაში დანართად ჰქონდათ მიბმული მარეგულირებელს, თუმცა ვებგვერდზე შესაძლებელი იყო მისი ნახვა. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული იყო 2020 წელს და დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოს ოქმით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რამის თქმა ხომ არ უნდოდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ საუბრები ინტერვიუს დროს, რეალურად საუბარი გადადიოდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემაში და არა აღნიშნულ დოკუმენტზე, შესაბამისად მათ არ უნახავთ და ფაქტობრივი მდგომარეობა დაფიქსირდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული და არ იყენებდა პრაქტიკაში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზები და ყველა სხვა დოკუმენტი იყო დანართ 42-43-ში. მისი განმარტებით ეს დოკუმენტები არ არის ახალი შექმნილი და მხოლოდ სტანდარტებს შეუსაბამეს. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა ინსტიტუცია 30 წელი იყო ოპერირებდა ბაზარზე და აღნიშნული დოკუმენტების გარეშე ვერ იფუნქციონირებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტებისთვის დაწესებულებას უნდა მიეწოდებინა ყველა ის დოკუმენტი, რომლითაც ის დაადასტურებდა, რომ რეკომენდაციები იყო შესრულებული. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ მოუთხოვიათ ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია და გარკვეულწილად დაწესებულების ბრალია, რომ მათი ინიციატივით არ მოხდა ამ დოკუმენტაციის ჯგუფისთვის გადაცემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ საკითხებზე დაწესებულებაში ჩატარებულ ინტერვიუზე ჰქონდათ საუბარი და ინტერვიუს პროცესში მონაწილე პირებისგან იღებდა განსხვავებულ პასუხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ მისთვის არ უკითხავთ და აღნიშნული დოკუმენტი არც ცენტრში წარსადგენ სიაში ეწერა.

შემდეგ სტანდარტთან დაკავშირებით ელენე კაკაბაძემ განმარტა, რომ რეკომენდაცია 31 და 32 ერთად არის გათვალისწინებული და სიტყვა გადასცა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს, სოფიო მგალობლიშვილს.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, სოფიო მგალობლიშვილმა რეკომენდაცია 31 და 32-თან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შეფასებული იყო ნაწილობრივ შესრულებულად, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა, აღნიშნული რეკომენდაციები მეტწილად ჰქონდათ შესრულებული, რადგან 2019-2020 სასწავლო წლისთვის განაახლეს აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო/სამეცნიერო დატვირთვის ფორმა, რომელიც მიუსადაგეს აკადემიური პერსონალის წლიურ საკონტაქტო და სასწავლო/სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ რაოდენობრივ შეფასებისა და ზღვრული ნორმების შესახებ მიღებულ საუნივერსიტეტო მიდგომებს, ასევე მათ შემუშავებული ჰქონდათ სასწავლო/სამეცნიერო დატვირთვის ფორმები, უნივერსიტეტში დადგენილი იყო ანგარიშვალდებულების სისტემა, კერძოდ, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდებოდა თვითშეფასების ანაგარიშების, აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო/სამეცნიერო დატვირთვის ფორმის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, რაც განახორციელეს 2020 წლის იანვარში, როდესაც აკადემიურმა პერსონალმა წარადგინა ანგარიში, რასაც ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა გაუკეთა ანალიზი, უნივერსიტეტში ასევე დანერგილი იყო წახალისების სისტემა (ერთ-ერთია პრემირება), ანალიზის შემდეგ რამდენიმე აკადემიურ პერსონალს გადასცეს ჯილდო/პრემია. რაც შეეხება ადმინისტრაციულ თანამშრომლებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 2020 წლის სექტემბერში (სწავლის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში) გეგმავდა გამოკითხვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ დაამატა, რომ 4.1 სტანდარტის რეკომენდაცია 31 და 32, იდენტური იყო 4.2 სტანდარტის რეკომენდაცია 41-ის და მას დააინტერესა, რატომ იყო პირველ შემთხვევაში ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მეტწილად შესრულებული და ჰკითხა ექსპერტებს, რითი ხელმძღვანელობდნენ ექსპერტები სტანდარტების შეფასებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დოკუმენტს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ექსპერტები ჰქონდა თავისი აღწერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებისგან მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განამარტა, რომ შეფასება ხდებოდა PDCA ციკლის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა რა ფაზაზე იყო რეკომენდაციის შეფასება. რეკომენდაცია 41-ის შესახებ განაცხადა, რომ საუბარი იყო ნიშნულების დადგენაზე და ვინაიდან ნიშნულები ასე თუ ისე დადგენილი ჰქონდა დაწესებულებას რეკომენდაცია ჩაითვალა მეტწილად შესაბამისად, რეკომენდაცია 31 და 32-ზე კი აღნიშნა, რომ უკვე საქმიანობის შეფასების პროცესზე იყო გადასული და უზრუნველყოფილი, რომ შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება და რადგან რეკომენდაცია 32-ში საუბარია, რომ შედეგები გამოყენებული იყო აქტივობების განვითარებისათვის, რისთვისაც ეს 4 თვიანი პერიოდი არ იყო საკმარისი, რომ დაწესებულებისთვის ცნობილი ყოფილიყო შედეგები და გადადგმული ყოფილიყო ქმედითი ნაბიჯები, რეკომენდაცია ჩაითვალა ნაწილობრივ. შესაბამისად, დიანა

მჭედლიშვილმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, რომ მათი აზრით 4 თვიანი პერიოდი არ იყო საკმარისი დრო ანგარიშის წარსადგენად, დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა გამოეყენებინათ ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებული 1 წლიანი პერიოდი, შეესრულებინათ აღნიშნული ფაზები და შემდეგ შედეგების მიხედვით უნდა ეჩვენებინათ რეკომენდაციების განხორციელების ეტაპები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, ელენე კაკაბაძეს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე კაკაბაძემ გაიმეორა კითხვა რეკომენდაციების შესრულების შეფასებასთან დაკავშირებით, რადგან სტანდარტში არ ეწერა, რომ ექსპერტს მოეთხოვებოდა შეფასება, დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, განვითარება. მან განმარტა, რომ სტანდარტში სხვა რაღაც ეწერა და ამიტომ დასვა აღნიშნული კითხვა. მან დაინახა, რომ ბევრი უზუსტობები იყო შეფასებებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, რომ არ იყო შესაბამისობში იმ დოკუმენტთან, რითიც უნდა შეეფასებულიყო, ამტომ თხოვა ექსპერტს ეპასუხა კითხვაზე, თუ რითი ახდენდნენ შეფასებას,

საბჭოს თავმჯდომარემ დიანა მჭედლიშვილს მიმართა და უთხრა, რომ თუ უნდოდა რამის დამატება, შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე.

ექსპერთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრაქტიკულად გასაგებია იყო მისთვის, რადგან ისინი უყურებდნენ ფაზების მიხედვით რა არის გაკეთეული და შესაბამისად სრულად შესრულებულად ჩაითვლებოდა თუ ოთხივე ფაზა ჩანს, თუ დაგეგმვის ეტაპზე იყო ნაწილობირივ შესრულებულად და ა.შ.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განმარტა, რომ მისთვის გაუგრბარი იყო საით მიჰყავდა საუბარი ელენე კაკაბაძეს, მისი აზრით, დაწესებულებას უსაფუძვლოდ ეპარებოდა ეჭვი ექსპერტების კომპეტენციაში. PDCA ციკლი თუ არ იყო დაწესებუელბისთვის საკმარისი არგუმენტი, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინდიკატორები, რომლებიც არ იყო მხოლოდ დოკუმენტები, რომლებიც მხოლოდ შექმნილი იყო. მისი თქმით, ბევრი დოკუმენტი შეიძლება ყოფილიყო გაწერილი და მათი შეფასებისა და ანალიზის უნარი ექსპერტებს გააჩნდათ, თუმცა ექსპერთა ჯგუფი ასევე ეყრდნობოდა ინტერვიუს შედეგებს და საბოლოო ჯამში შეფასდა ყველაფერი, სტატისტიკური მონაცემები, რომლებზეც ჰქონდათ წვდომა, ინტერვიუს შედეგები და ის დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო. რაც შეეხება შეფასებებს ყველგან მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ პოლიტიკის შემუშავების დონეზე უნივერსიტეტს ჰქონდა ნაბიჯები გადადგმული, თუმცა ეს არ იყო საკმარისი, რადგან ბევრი მიმართულებით რეალურ მოქმედებასი არ იყო მოყვანილი ის რეგულაციები რომელიც ასახული იყო შემუშავებულ დოკუმენტებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე კაკაბაძემ მადლობა გადუხადა ექსპერტს, რადგან ზუსტად ამის თქმა უნდოდა, რომ არანაირი დოკუმენტი არ იყო გაწერილი აღნიშნულ 4 დონიან შკალასთან მიმართებით და ხდებოდა სუბიექტურად შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულებაში დეტალურად იყო დონეები გაწერილი, რითიც ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს შეეძლოთ ეხელმძღვანელათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სახელმძღვანელოთიც, სადაც დებულების ნაწილი იყო გადმოტანილი და შეფასებები ჩაშლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, ელენე კაკაბაძეს დაბრუნებოდა რეკომენდაციების განხილვას და აღნიშნა, რომ შეფასება უნდა გაკეთდეს საბჭოს მიერ, მას შემდეგ, რაც მხარეებს მოუსმენს.

რეკომენდაცია 33-თან დაკავშირებით ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ მონიშნული იყო მეტწილად შესაბამისობა და ეწერა, რომ „შემუშავებულია ადამიანური რესერსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; შემუშავებულია აფილირებული პროფესორების წახალისების მექანიზმები. პერსონალის განვითარებისა და მოტივირების მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები, დაფინანსდა 3 შიდა სამეცნიერო გრანტი, 5 პერსონალი ჩართულია ინგლისური ენის გაძლიერების პროგრამაში“. მისთვის გაუგებარი იყო რატომ მონიშნეს ექსპერტებმა მეტწილად შესაბამისობა და არა სრულად შესაბამისობა.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ მაგ., ტრენინგები ჩატარდა ადმინისტრაციულ პერსონალთან, დაგეგმილი იყო, რომ აკადემიურ პერსონალთანაც გაკეთდებოდა, თუმცა ეს ცალსახად არ იყო გაწერილი. რაც შეეხება კვლევითი პროექტების დაფინანსებას, ყველასთვის მისასალმებელია, რადგან ამაზე კარგისუნივერსიტეტი ვერაფერს გააკეთებს, თუმცა როდესაც ექსპერტებმა პროექტები სიღრმისეულად შეისწავლეს, ექსპერტებში ჩამოყალიბდა ცალსახა დამოკიდებულება, რომ აღნიშნული კვლევითი კომპონენტი გაცილებით კარგად უნდა დაიგეგმილიყო, რათა უნივერსიტეტს გაცილებით მეტი სარგებელი მიეღო, რადგან იყო შემთხვევა, რომ უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი არ ატარებდა კვლევას, შესაბამისად არ აღირიცხებოდა უნივერსიტეტის აქტივად.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენელსმ ელენე კაკაბაძეს, რათა კომენტარი გაეკეთებნა თუ რატომ მოხდა ისე, რომ კვლევითი საქმიანობა არა აფილირებულ პროფესორთან იყო დაკავშიირებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ ერთი პროექტს (კამილინთან დაკავშირებით) ახორციელებდა აღნიშნულ უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალი. მეორე პროექტის (მოსახსნელი პროთეზის დეზინფექციის შესახებ) ახორციელებდა ქალბატონი, რომელიც არც ერთ უნივერსიტეტში არ იყო აფილირებული და მხოლოდ აღნიშნულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ ექსპერტებმა აღნიშნული საკითხი შეისწავლეს, რადგან აფასებდნენ, როგორც ძალიან პოზიტიურ მოვლენას, თუმცა როგორც კი წავიდნენ სიღრმეებში ამ კველევების ხარისხი და გრანტები, რომლებიც გასცა უნივერსიტეტმა არ იყო საკმარისი. მას სჯერა რომ უნივერსიტეტი მომავალში გაცილებით უკეთ მოეკიდება აღნიშნულ საკითხს, რადგან ქვეყანაში ისედაც ისე ცოტა კვლევა ფინანსდება და ჯობდა ისეთი კვლევები დაფინანსებულიყო, რომელსაც რეალური შედეგის დადება შეეძლო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ კვლევა ღირებულ შედეგებს მოუტანდა, როგორც ინსტიტუციას, ასევე ქვეყანასაც და რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არ იყო სრულად შესრულებული, ჩართული იყო ინგლისური ენის გაძლიერების პროგრამაში, ეს ძალიან მცირე მონაცემი იყო იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს ინსტიტუციის მასშტაბით აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაეთვალათ.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ საუბარი იყო ადმინისტრაციულ პერსონალზე და არა აკადემიურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასვა კითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა ადმინისტრაციულ პერსონალს ესწავლა ინგლისური. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა შეიძლებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროცესი დაწყებულია, ერთ დღეს თუ 5 მიიღებდა მონაწილეობას, მეორე დღეს 25 იქნებოდა და მერე 105, თუ არ დაიწყებდნენ ვერასდროს იქნებოდა ბევრი.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდიამ სიტყვას გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელიც გააგრძელებდა რეკომენდაციების განხილვას და აღნიშნა, რომ სტანდარტზე მითითებული იყო ნაწილობრივ შესრულება და უნივერსიტეტი მუშაობდა პერსონალის საქმიანობის შეფასების გაუმჯობესებასა და შესაბამისი სისტემის შემუშავებაზე.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, სოფიო მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნას აკადემიური პერსონალის სტუდენტების მიერ შეფასების მუდმივად მიღება. დაწესებულებამ გააკეთა აკადემიური პერსონალის შეფასება, ანაგარიშების საფუძველზე, რომელიც 2020 წლის იანვარში წარადგინეს და მათი ანალიზი გამოიყენეს წახალისების ფორმების ერთ-ერთი პუნქტი - პრემია, რომელიც გასცეს აკადემიურ პერსონალზე.

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია 36 მონიშნული იყო, როგორც არ არის შესრულებული, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ პერსონალის სამსახურში აყვანასთან დაკავშირებით არ აქვთ გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ჰქონდათ თუ არა ერთნაირი მოთხოვნები სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენ პროფესორის მიმართ.

ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ მათ დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია 2019 წლის 20 აპრილს, გათვალისწინებული იყო სამეცნიერო ნაშრომი, რომლის რაოდენობა არ იყო დაზუსტებული.

დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსმა, ნიკა დუდაშვილმა განაცხადა, რომ მათი დებულების შესაბამისად პროფესორზე, ასოცირებულ პროფესორზე, ასისტენტ პროფესორზე და ასისტენტზე მოთხოვნები სხვადასხვანაირად იყო რანჟირებული. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელი იყო არჩეულიიყო დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც ჰქონდა 6 წლიანი გამოცდილება და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ქონდა სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს მის კომპეტენციას შესაბამის დარგში, განსხვავება ასისტენტ პროფესორსა და ასისტენტს შორის იყო, რომ ასოცირებულ პროფესორს 3 წლის განმავლობაში მოეთხოვებოდა მხოლოდ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო ასისტენტ პროფესორს მოეთხოვებოდა მხოლოდ 2 პუბლიკაცია.

ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმში (N1/2020 – 9 იანვარი, 2020 წელი), აღნიშნულია, რომ უნდა

გამოეცხადებინათ ვაკანსიები, შესაბამისად ჯანდაცვის ფაკულტეტზე პროფესორის, ასისტენტ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველგან იყო ერთიდაიგივე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ექსპერტს განუმარტა, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ეწერათ 2 პუბლიკაციადა მოთხოვნები არ იყო ერთიდაიგივე. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ დაწესებუელბის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში არ ეწერა 2 სტატია. ექსპერტის თქმით, დებულება იყო ერთი დოკუმენტი და მეორე იყო ოქმი, რომლის საფუძველზეც გამოცხადდა ვაკანსია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა ექსპერტის ნათქვამი და დაამატა, რომ აღნიშნული ოქმის საფუძველზე მიიღეს ადამიანები აკადემიურ პოზიციაზე. მან სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დიანა მჭედლიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დებულებაშიც ისე ეწერა, როგორც ოქმში. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ დაადასტურა, რომ სხდომის ოქმშიც ის ეწერა, რაც დასკვნაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას დებულებაში გაწერილი იყო, რაც გაგზავნილი იყო დანართებშიც და იდო დაწესებულების ვებგვერდზეც, რაც მის გმაჭვირვალეობაზე მეტყველებდა. დაწესებულების წარმომადგენელს, ელენე კაკაბაძეს დააინტერესა საერთოდ რა ოქმზე იყო საუბარი და იყო თუ არა ატვირთული დანართებში.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ ეს იყო ოქმი, რომელიც მან გამოითხოვა დაწესებულებიდან და სადაც ეწერა - „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი (N1/2020 – 9 იანვარი, 2020 წელი)“ შესაბამისად ჯანდაცვის ფაკულტეტზე, როგორც პროფესორზე, ისე ასოცირებულ პროფესორზე და ასისტენტ პროფესორზე ყველგან ერთიდაიგივე მოთხოვნა იყო გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გადაამოწმებდნენ, რადგან თვითონაც დაინტერესდნენ ამ გარემოებით.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ორ სხვადასხვა დოკუმენტზე იყო საუბარი, დებულებასა და აკადემიური საბჭოს დადგენილებაზე, რომელზე დაყრდნობითაც გამოცხადდა კონკურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრს, დავით ბოსტოღანაშვილს, რომ რაღაც გაურკვევლობა იყო ოქმთან დაკავშირებით.

დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ გაგზავნილ დებულებაში სწორად იყო ყველაფერი, რასაც ელენე კაკაბაძეც დაეთანხმა.

რექტორის მრჩეველმა, ნათია ქაჯაიამ გამოხატა პატივისცემა საბჭოს წევრების მიმართ განსაკუთრებით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლების - დავით ბოსტოღანაშვილისა და თამარ ზარანდიას მიმართ. საკითხთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ სხდომის დასრულებამდე პერსონალის დახმარებით აღმოიფხვრებოდა ოქმთან დაკავშირებული გაურკვევლობა, თუმცა აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი არ არის დარღვეული, რადგან ის სთავაზობს მხოლოდ გამოცდილებასთან დაკავშირებულ დიფერენცირებულ მიდგომას აკადემიურ თანამდეობებთან დაკავშირებით და მაგალითის

სახით მოიყვანა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკა და განაცხადები, მან ნახა და გაეცნო თვითონ კავკასიის უნივერსიტეტისა და თსუ-ის საკონკურსო განაცხადებს, სადაც მსგავსი დათქმები და დიფერენცირება აკადემიური თანამდეობების მიხედვით სამეცნიერო ნაშრომებთან და პუბლიკაციებთან დაკავშირებით არ არსებობდა, განცხადებებში ამასთან დაკავშირებით იყო ზოგადი მოთხოვნები და მათ კანონი არ დაურღვევიათ და საბჭოს სთხოვა გაეკეთებინათ შეფასება ამ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათი მიზანი არ იყო შეეფასებინათ როგორ ცხადდება სხვა დაწესებულებებში კონკურსები და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა კონკრეტულად თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ რეკომენდციების შესრულების ფაქტებზე.

რექტორის მრჩეველმა, ნათია ქაჯაიამ განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია განასაკუთრებით მტკივნეულია, რადგან შეფასებულია, როგორც არ არის შესრულებული და სწორედ ამიტომ აღნიშნა, რომ არ იყო დარღვეული კანონი და განაცხადა, რომ პრაქტიკა ამის თაობაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც ასეთია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ გაეგრძელებინათ რეკომენდაციების განხილვა. მან კითხვა დასვა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, ექსპერტების დასკვნაში ეწერა, რომ ზოგიერთი პერსონალის შემთხვევაში რეესტრის მიხედვით საერთო დატვირთვა აღემატებოდა 55 საათს კვირაში, რაც მაღალი დატვირთვა იყო და პრაქტიკულად ეჭვქვეშ აყენებდა მათ პროგრამის განხორციელებაში სრულყოფილად ჩართვის შესაძლებლობას.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, სოფიო მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ თ ეს იყო ტექნიკური უზუსტობა. მან აღნიშნა, რომ მისთვისუცნობი იყო ამ თანამშრომელთა სახელები და გვარები, რის გამოც ვერ ახერხებდა გადამოწმებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დიანა მჭედლიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო დაწესებულებაში დასაქმებულ თანამშრომელთა გვარების დასახელება, რადგან საბჭოს ფორმატი ამას არ ითვალისწინებდა, მაგრამ აღნიშნა, რომ ინსტიტუციში დასაქმებული იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებიც ბევრ უნივერსიტეტში ერთდროულად მუშაობდნენ და ამიტომ ამ რეკომენდაციით ინსტიტუციას გაუმახვილეს ყურადღება, რომ ამ კუთხით შეეხედათ სიტუაციისათვის, უფრო მეტი კონტროლი გაეწით და შესაბამისად, ეზრუნათ პროცესების ხარისხზე ამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გასაგები იყო ექსპერტებისა და დაწესებულების პოზიცია და ამაზე კამათს აზრი არ ქონდა, საბჭოსთვის მისაღები იყო დაწესებულების წარმომადგენელტა პასუხი, რომ ეს შესქაძლოა ყოფილიყო ტექნიკური უზუსტობა.

დაწესებულების წარმომადგენელი ელენე კაკაბაძე დააინტერესდა რატომ იქნა ექსპერტების მიერ მიჩნეული ნაწილობრივ შესრულებული 42-ე რეკომენდაცია, რადგან ინსტიტუციამ გაზარდა აფილირებული პერსონალის წევრების რაოდენობა, ყველა ფაკულტეტზე ერთდროულად კი არ იყო მათი რიცხვის გაზრდის საჭიროება, მან აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში 6 ადამიანს დააწყებინა მუშაობა, გადაუხადა ხელფასი მაშინ, როდესაც სხვა

ინსტიტუციებიდან ხალხი გუშვეს სამსახურებიდან, და ამის შემდეგ ამდენად ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასების მიღება მისთვის მიუღებელი იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ შემდეგი სემესტრისთვისაც იყო დაგეგმილი კონკურსის გამოცხადება და რომ დიდი რაოდენობით აფილირებული პერსონალის წევრები საერთოდ არ სჭირდებოდა, რადგანარსებული რაოდენობაც უკვე სრულიად საკმარისი იყო დავერ ხვდებოდა რატომ იყო რეკომენდაციის შესრულება შეფასებული, როგორც ნაწილობრივ შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა გაეკეთებინათ კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ ინტერვიუში მკაფიოდ იყო გამოთქმული აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ არ იყო საკმარისი ერთი მიმართულებით მხოლოდ 6 აკადემიური პერსონალის დამატება. მისი თქმით ელენე კაკაბაძემ განაცხადა ამის საწინააღმდეგო და ექსპერტისთვის უცნობი იყო როგორ შეიძლებოდა დადასტურებულიყო რომელი მხარე რას ეყრდნობოდა, მაგრამ ექსპერტთა მოსაზრება ასეთი იყო. რაც შეეხება ერთ კონკრეტულ კომპონენტს, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ჩანაწერი გაკეთებული - მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უნდა ყოფილიყო 2/1, ხშირ შემთხვევაში ეს თანაფარდობა არ იყო დაცული, შესაბამისად ეს ორი არგუმენტი უკვე არსებობდა, როდესაც დასკვნაში დაიწერა, აღნიშნული შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტ ლარისა პატარაიას და აღნიშნა, რომ თვითონაც უნდოდა ხაზი გაესვა ამ ნიშნულებისთვის, რომლებიც არ სრულდებოდა საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან მიმართებით, ვინაიდან 10 საგანმანათლებლო პროგრამა იყო და 28 აფილირებული პერსონალი, შესაბამისად, ამ კუთხით დაწესებულებას ჰქონდა სამუშაო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი ხედვით ნაბიჯები გადაიდგა და ამას არავინ უარყოფს, ის რომ დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი და მიიღო 6 აფილირებული პროფესორი ეს გასაგები იყო, მაგრამ ექსპერტების შეფასებით ეს არ იყო ის, რაც მათ მისცემდათ იმის საშუალებას, რომ დაწერათ შესაბამისობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა უკეთიცოდა უკეთ დაწესებულებას რამდენი სტუდენტი ჰყავდა და რამდენი პოროფესორი სჭირდებოდა ვიდრე ექსპერტმა. ასევე, საბჭოს წევრებს სთხოვა გადაეთვალა 528 სტუდენტზე რატომ იყო ცოტა 28 აფილირებული პროფესორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ ასევე აღნიშნა, რომ კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით მისთვის გაუგებარი იყო რატომ არ შეაფასეს ექსპერტებმა VI სტანდარტი ისევე სკულპულოზურად, როგორც III და IV სტანდარტი. VI სტანდარტის უდიდესი ნაწილი მეტწილად შესრულებული იყო და ვერ დაეთანხმა ნაწილობრივ შესაბამისობის ნიშნულს, ამის დასტური იყო, რომ დასკვნაში აღნიშნული იყო ინსტიტუციის მიერ მხოლოდ 2 კონფერენციისა და 2 საჯარო ლექციის ორგანიზების შესახებ, რისი გადამოწმებაც შესაძლებელი იყო ინსტიტუციის ვებგვერდზე. ინსტიტუციის წამომადგენის თქმით კიჩატარებუი იყო არა 2, არამედ 50 საჯარო ლექცია 2020 წლის განმავლობაში. მან დააკონკრეტა რომ ინსტიტუციაში ჩატარდა სამართლის, ბიზნესის და სტომატოლოგიის საერთაშორისო კონფერენცია 2019 წლის დეკემბერში, ასევე, 2 კონფერენცია რამდენიმე დღით ადრე მონიტორინგის ვიზიტამდე - 1 სამართლის და 1 ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარე, კითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა თემაზე იყო ჩატარებული სამართლის მიმართულებით კონფერენცია. დაწესებულების იურისტმა, ნიკა დუდაშვილმა განაცხადა, რომ 2020 წელს 8 ივლისს ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ეკომიკისა და ბიზნესის პრობლემები და გამოწვევები პანდემიის პირობებში“, „სამართლის აქტურ საკითხებზე პანდემიის პირობებში“, რომელთა ფოტოები და დოკუმენტებიც ვებგვერდზე იყო გამოქვეყნებული. 2020 წლის 3 ივლისს ჩატარდა ბიზნესის მასტერკლასი, რომელსაც შპს „ექშეენმენის“ დამფუძნებელი ჯონი სამხარაძე გაუძღვა და ეს ყველაფერი გამოქვეყნებული იყო ვებგვერდზე. მან აღნიშნა, რომ ასევე ჩატარდა საჯარო ლექციები რეგულაციებზე, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას“, რომელსაც უძღვებოდაარჩილ ლორია. ასევე ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე„დანაშაული, როგორც ორგანული აუცილებელი, სასარგებლო მოვლენა“, რომელსაც დავით წულაია უძღვებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ინსტიტუციის მიერ კვლევის კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ამ ნაწილში ავტორიზაციის კვლევის სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა აქცენტი გააკეთა ინსტიტუციის კვლევით საქმიანობაზე და არა მათ მიერ განხორციელებულ საჯარო ლექციებზე და და აქედან გამომდინარე გააკეთა შეფასებადაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო მათი კვლევა ტურიზმის მიმართულებით რატომ ჩაითვალა მხოლოდ ლოკალური პრობლემის კვლევად და რატომ არ შეიძლებოდა გასცდენოდა ეს კვლევა საქართველოს ფარგლებს; რადგან წელიწადში 9 მილიონ ვიზიტორს მასპინძლობდა საქართველო, რატომ არ უნდა ეფიქრათ ტურიზმის განვითარებაზე, მეორე კვლევა ეხებოდა პრეპარატ კამელინს, ეს პრეპარატი აღიარებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რეგისტრირებული იყო უცხო ქვეყნებშიც და განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო მასზე უკრაინასა და ყაზახეთში, და მისი აზრით არც ეს პრობლემა იყო ლოკალური. მესამე კვლევა, რომელსაც ინსტიტუცია ახორციელებდა ეხებოდა პროტეზის დეზინფექციის შესახებ პროექტს, და მისი თქმით, ყოველგვარი განხილვის გარეშე ეს კვლევა შეიძლება ჩათვლილიყო ზოგადსაკაცობრიო კვლევად. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ჯერ კვლევების შეფასება ხდებოდა, შემდეგ კი დაფინანსება. რაც შეეხებოდა ინტერესთა კონფლიქტს, მისი თქმით ის არ არსებობდა, რადგან კვლევების შეფასების საბჭოს წევრი იყო მხოლოდ კვლევების განვითარების სამსახურის უფროსი, თუმცა ის თავის პროექტს არ აძლევდა ხმას და მხოლოდ საბჭოს სხვა წევრები მონაწილეობდნენ კენჭისყრაში. მისი თქმით არანაკლებ აქტუალური იყო ტრენინგების საკითხი, რომელიც პერსონალს გაუადვილებდა პროექტის წარდგენას მოძიებულ ფონდებში და შეძლებდნენ ამ ტრენინგების შედეგად კვლევები მაღალი დონის პერიოდიკაში ყოფილიყო გამოქვეყნებული.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ეს ტრენინგები მხოლოდ ადმინისტრაციულ პერსონალს უტარდებოდა თუ აკადემიურ პერსონალსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ ეს ტრენინგები უტარდებოდა ყველას, აკადემიურ პერსონალსაც და ადმინისტრაციულსაც, ბოლო პერიოდშიც ჩატარდა „ონლაინ“ რეჟიმში და ბევრი ლინკი ჰქონდა შეგროვებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნულზე კომენტარის გასაკეთბლად, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დიანა მჭედლიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ხმის მიცემის პროცესს არ ეხებოდა და ეს აღნიშნულიც იყო მანამდე მის მიერ. მან აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება საჭიროებდა მონიტორინგს, პერიოდულ შეფასებას და ა.შ. შესაბამისად ექსპერტებმა ინტერესთა კონფიქტის პრობლემა უფრო მეტად დაინახეს პროექტების განხორციელების შემდეგ ეტაპებზე და უფრო მეტიც, დაინახეს სხვა პრობლემაც, რომელიც რეალურად ადამიანური რესურსის პრობლემას უკავშირდებოდა. კერძოდ, როდესაც სამი ასეთი კვლევითი პროექტი დაფინანსდა ინსტიტციის შესაძლებლობები იყო მწირი ადამიანური რესურსის კუთხით, არ იყო საკმარისი რესურსი არც აკადემიური და არც ადმინისტრაციული რესურსის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელი, ელენე კაკაბაძე არ დაეთანხმა ექსპერტების მოსაზრებას და მიმართა დიანა მჭედლიშვილს, რომ თუ მისი უნივერსიტეტის მასშტაბებიდან გამომდინარე ამბობდა რა თქმა უნდა მართალი იყო, მაგრამ მოუწოდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული უნივერსიტეტი არ იყო იმ უნივერსიტეტის მასშტაბის რომელ უნივერსიტეტსაც წარმოადგენდა დიანა მჭედლიშვილი.

17:00 საათზე საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა ელენე კაკაბაძეს სტუდენტთა რაოდენობები, რომლებიც საბჭოს ბოლომდე უნდა გაეჟღერებინა.

ელენე კაკაბაძემ განაცხადა, რომ სამართალის პროგრამაზე სწავლობდა 31 სტუდენტი, ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე - 10, ფსიქოლოგიაზე - 16, სტომატოლოგია (ქართული) – 86, სტომატოლოგია (ინგლისური) - 4, რადგან ეს უკანასკნელი ახალი პროგრამა იყო.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ იკითხა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ პროგრამების სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ოთხივე სტუდენტი იყო ირანის მოქალაქე, რომლებიც სწავლობდნენ მედიცინის პროგრამაზე და შემდეგ გადავიდნენ ინგლისურენოვან სტომატოლოგიაზე, ასევე რუსულენოვანი სტომატოლოგიის პროგრამაზე 245 სტუდენტი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან, ისინი იყვნენ როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეები, ასევე ყაზახეთის, უკრაინის და ნიდერლანდების მოქალაქეები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორი იყო ბოლო სემესტრი (პანდემიური ფონის გათვალისწინებით) მათთვის.

ელენე კაკაბაძემ უპასუხა, რომ სტუდენტებს ძალიან მოეწონათ, რადგან თავიანთი სახლებიდან „ონლაინ“ რეჟიმში ერთვებოდნენ, ლექციები კარგად მიმდინარეობდა, პანდემიის პერიოდში სტუდენტებისგან მოისმინეს შეფასებები თუ როგორი კმაყოფილები იყვნენ ისინი. მისი აზრით, უცხოელებს „ონლაინ“ რეჟიმი სწავლა უფრო მოეწონათ.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ იკითხა, ხომ არ ახსოვს რუსულ ენაზე, კვლევის მეთოდებს ვინ კითხულობდა და რამდენი ბლოკისგან შედგებოდა ეს საგანი. ინსტიტუციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ სამართალზე კითხავდნენ მსგავს კითხვას შეძლებდა ეპასუხა, რადგან მისი პროგრამა იყო, თუმცა აღნიშნულ პროგრამაზე არ ახსოვდა ვინ იყო ლექტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ემისის მონაცემებით, სამართლის პროგრამაზე 31 სტუდენტი სწავლობდა. ელენე კაკაბაძემ განაგრძო სტუდენტების რაოდენობების ჩამოთვლა ფაკულტეტების მიხედვით, მან განაცხადა, რომ ქართულენოვანი ბიზნესის პროგრამაზე სწავლობდა 36 სტუდენტი, რუსულენოვანი ბიზნესის პროგრამაზე კი – 78, ტურიზმის პროგრამაზე სწავლობდა - 9 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ რუსულენოვანი ბიზნესის პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, როგორც აზერბაიჯანის, ასევე ყაზახეთის, უკრაინის და ნიდერლანდების მოქალაქეები.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ იკითხა, თუ ახსოვდა რამდენი ახალგაზრდა მკვლევარი ან სტუდენტი იყო ჩართული ბიოსამედიცინო მიმართულებით კვლევაში და კამელინზე კვლევაში ვინ იყო კვლევის შემსრულებელი, რომელ ფაკულტეტზე ხორციელდებოდა კვლევა. მან აღნიშნა, რომ კვლევის მიმართულება და სამეცნიერო კომპონენტიც, მისი აზრით არ იყო ცუდი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ზუსტად არ ახსოვდა ამ კვლევაში ჩართული ახალგაზრდა მკვლევარებისა და სტუდენტების რაოდენობის შესახებ.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ აღნიშნა, რომ როდესაც რაოდენობებზე საუბრობდნენ კვლევაში ჩართულ სტუდენტებისა და პროფესორებს შორის არსებული შეფარდება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მათი რაოდენობა და კონკრეტულად ამ პროექტთან დაკავშირებით აინტერესებდა ეს, რადგან მისთვის ცნობილი იყო კვლევის ამ მიმართულების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვლევას კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსი, დავით ძნელაძე ახორციელებდა, რომელიც საკმაოდ წარმატებულ მკვლევარად მოიაზრებოდა, დაწესებულებას აინტერესებდა აღნიშნული კვლევა და როდესაც მან გეგმა-გრაფიკი წარუდგინა დაწესებულებას, დაწესებულების წარმომადგენლები აღფრთოვანებულნი დარჩნენ, რადგან ბევრის გაკეთება შეეძლო ამ ადამიანს დაწესებულებისთვის.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი იყო ასეთი შეფასება, პიროვნულადაც ეთანხმებოდა ყველაფერში, თუმცა მკვლევრებს კვლევის შესაფასებლად ჰქონდათ ინდიკატორები, როგორც ექსპერტებს ჰქონდათ თავისი ინდიკატორები და ისინი მუდმივად გადიოდნენ ტრენინგებს ამ მიმართულებით და არ დაეთანხმა დაწესებულებას, თუ რატომ არ ჰქონდათ ექსპერტებს კვლევის შეფასების დოკუმენტი, რადგან ასეთი დოკუმენტი უნდა ყოფილიყო და მისი ოპტიმიზირება უნდა მომხდარიყო ყოველ წელს. დავით ძნელაძესთან დაკავშირებით კი მან დადებითი დამოკიდებულება გამოხატა და განაცხადა, რომ მისთვის იგი აღიარებული მეცნიერი იყო და ამიტომ კიდევ უფრო დაინტერესდა და ჩაუღრმავდა კვლევის საკითხს. თუმცა ინდიკატორებთან დაკავშირებით მაინც დააინტერესა დიანა მჭედლიშვილის პასუხი და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში კვლევა იმიტომ ტარდებოდა, რომ ახალგაზრდები ყოფილიყვნენ კვლევაში, რომ სტუდენტი დახელოვნებულიყო კვლევაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში 6.2 პუნქტში ახალგაზრდა მკვლევარების მონაწილეობაზე ინფორმაცია არ გამოიკვეთა, თუმცა აღნიშნულ კვლევებში იგეგმებოდა 16 სტუდენტის მონაწილეობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სტუდენტები ჩართულები იყვნენ, რადგან ეს კვლევა დაიწყო 2020 წლის თებერვალში და გეგმა-გრაფიკის მიხედვით პირველი ეტაპი უკვე

გავლილი იყო, ეს შეფასებაც ქონდათ უკვე დავით ძნელაძისგან. მან აღნიშნა, რომ ყველა მკვლევარი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ახორციელებდა თავის სამუშაოს, რის შეფასებასაც პერიოდულად აგზავნიდნენ, ბოლოს კი უნდა გაკეთებულიყო მათი ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბოლოო ბოლო კომენტარის გაკეთების სურვილი.

რექტორის მრჩეველმა, ნათია ქაჯაიამ რეზიუმეს სახით შეფასების საკითხებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოქმედი კანონმდებლობით არ იყო იმპერატიულად განსაზღვრული ინდიკატორი და კრიტერიუმი, როგორ შეიძლებოდა შეფასებულიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტანდარტთან და სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, საკითხი იყო შეფასებითი ხასიათის და მეტწილად დამოკიდებული იყო ექსპერტთა შეფასებაზე, მათ შემთხვევაში განასაკუთრებით უნდა აღნიშნულიყო, რომ სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვამდე, შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელ ცხრილში, ნაწილობრივ შესაბამისობის გრაფები იყო მონიშნული, იმ პირობებში, როდესაც დასკვნის პროექტი დადებითად წარმოაჩენდა ძალიან ბევრ პროცესს და ღონისძიებას თითქმის ყველა კომპონენტთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ საბჭოს მიერცხრილში ნაწილობრივი შესაბამისობა უნდა გადასულიყო მეტწილად შესაბამისობაში, რადგან საბჭოს, როგორც ადმინისტრაციულ-კოლეგიურ ორგანოს ჰქონდა ამის შესაძლებლობა, რომ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალათ სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ასე სკულპულოზურად იქნა გამოკვეთილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ როგორც დასკვნა, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესი იყო დინამიური და არა მხოლოდ დაგეგმვის პროცესში, არამედ მოკლე პერიოდში განხორციელების მხრივაც, ყველა სტანდართან მიმართებით, რაც სადავო იყო და რამაც განაპირობა დაწესებულებისთვის სტუდენტებისთვის მიღების შეზღუდვა, 2020 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით აღმოფხვრილი იყო ყველა გარემოება და სწორედ ამიტომ მიმართეს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სტუდენტების მიღების შეზღუდვის მოხსნის განაცხადით, რომ მათ ეს პროცესები არა თუ დაგეგმეს, არამედ განახორციელეს კიდეც, სხვა შემთხვევაში ცენტრს განაცხადით არ მიმართავდნენ. დაწესებულებას, რომელსაც ქონდა ამბიცია მათი ავტორიტეტის და ბაზარზე დამკვიდრებული სახელის, თავს არ შეირცხვენდნენ და არ აღმოჩნდებოდნენ იმ წინაპირობებისა და გარემოებების წინაშე, რომ აღნიშნული რეკომენდაციებიდან რომელიმე არ დაეკმაყოფილებინათ, თუნდაც ის 2 კომპონენტი, რომელზეც დასკვნის შინაარსში ფიქსირდებოდა, რომ შესრულებული არ იყო. საბჭოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსმენილ იქნა დაწესებულების არგუმენტები, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე სწავლის შედეგების შეფასებასთან მიმართებითაც და ეს საკითხები აღმოფხვრილი იყო, ამდენად, საბჭოს ეძლეოდა შესაძლებლობა ავტორიზაციის დებულებით, რომ შესაბამის შეფასების შემაჯამებელ ცხრილში მითითებული ნაწილობრივი შესაბამისობიდან გადაეფასებინათ მეტწილად შესაბამისობაზე.

17:10 საათზე, საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ, დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს კითხა ხედავდნენ თუ არა სხვა უნივერსიტეტებში თავიანთი აკადემიური პერსონალისმონაცემებს. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ხედავდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ სხვა დაწესებულების ატვირთული მონაცემების შესწორება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ ქონდათ სურვილი დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განაცხადა, რომ მიუხედავად 2 საათნახევრიანი მსჯელობისა მოცემული ზეპირი განხილვის ფორმატში, ექსპერტები მაინც თავის პოზიციაზე რჩებოდნენ რადგან თავიდანვე ძალიან შეეცადნენ ობიექტურები ყოფილიყვნენ და გაეთვალისწინებინათ ყველა ის გარემოება, რომელიც დახვდათ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით პოზიტიური გარემოებები, თუმცა ამ სიტუაციაში დასკვნის შინაარს თავიდან ბოლომდე იზიარებდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი დაეთანხმა ექსპერტს, რომ შეეცადნენ, ყველა პოზიტიური გარემოება, წინ გადადმგული ნაბიჯი გამოეკვეთათ დასკვნაში. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ ფაქტობრივ უზუსტობებთან დაკავშირებით კონკრეტული საკითხების შესახებ, დოკუმენტებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დასკვნაში ჩაწერილი ყველა ჩანაწერი ამოღებული იყო დოკუმენტაციიდან, შესაბამისად ვერ დაეთანხმებოდა უნივერსიტეტის პოზიციას, რომ რამე დოკუმენტი ან საბუთი არასწორად იქნა ინტერპრეტირებული ექსპერტების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:18 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:02 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის №43-ე გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძალაში დარჩეს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის №43-ე გადაწყვეტილება.

2. **შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმში განცორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მანჯავიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიზანს წარმოადგენდა დაწესებულებაში 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაციების, დაწესებულების მიერ ცენტრში 2020 წლის 26 აპრილს წარმოდგენილი შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის და ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 14 თებერვლის N1 სხდომის ოქმში ასახული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასება.

მან აღნიშნა, რომ 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაციები ავტორიზაციის სტანდარტების 8 კომპონენტთან მიმართებაში. მიუხედავად მოკლე პერიოდისა და როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე დაწესებულებისთვის მძიმე პერიოდისა, სასწავლო უნივერსიტეტმა წარმატებით გაართვა თავი და 5 კომპონენტში მიიღო სრული შესაბამისობა, ხოლო 3 კომპონენტთან მიმართულებით ჩატარებული აქვს აქტივობები და სამომავლოდ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც მათ დოკუმენტაციაში ჩანდა, ეს სტანდარტებიც იქნებოდა შესაბამისობაში. ექსპერტთა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა მათთვის გაცემული რჩევები. ასევე დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუმა შეისწავლა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული შემდეგი საკითხები, რომლებიც ეხებოდა დაწესებულების მისიას, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ენის კომპეტენციის განსაზღვრას, პროფესიული განვითარების მხარდამჭერ ღონიძიებებს, სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მათ ხელშეკრულებებს, ცხრილებსა და ვებგვერდის საკითხებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მანჯავიძემ წარმოადგინა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

სტანდარტი 6:

- რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.
- რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.

სტანდარტის 7:

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაში ელექტრონული სისტემების ეფექტური და დროული დანერგვის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აკადემიური პერსონალისთვის turnitin-ისა და KEYPS-ის სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ: ტრენინგების ორგანიზება).
- მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით დაწესებულებაში დაინერგოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დროული განახლება.
- .

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ 1.1 კომპონენტთან მიმართებით წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მისია შეიცვალა და შეფასების პერიოდში აბსოლუტურად ასახავდა იმ საქმიანობასა და აქტივობას, რომელსაც ახორციელებდა დაწესებულება. 1.2 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება. ექსპერტებმა ნახეს/შეისწავლეს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმები, დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა რეკომენდაცია, შემოღებული ჰქონდა რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორები, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანური და ფინანსური რესურსები კვლავ არ იყო მითითებული, ეს იყო ის რესურსები, რომლის მობილიზებაც დაკავშირებული იყო ცალეკული სტრუქტურული ერთეულის აქტივობასთან და გაწერილი იყო პერსონალის სამუშაოს აღწერილობაში, რადგან შესაძლებელი იყო შიდა რესურსებით მათი შესრულება, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად შეაფასა.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარებ, ირმა მანჯავიძემ 2.3 კომპონენთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ნინო ამირანაშვილს.

ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები შეეხებოდა პერსონალისთვის ეთიკის კოდექსის შექმნას, ჯგუფმა შეაფასა შემუშავებული ეთიკის კოდექსი, რომელიც შექმნილი იყო დაწესებულების მიერ, რომლის შესახებაც პერსონალიც ინფორმირებული იყო, შესაბამისად რეკომენდაცია შესრულა. დაწესებულებას ასევე შეძენილი ჰქონდა და ინერგებოდა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა „Turnitin“, რაც აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციას შეუწყობდა ხელს.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპონენტ 3.3-ში გაცემული იყო რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის გადამზადების შესახებ OSCE-ის გამოცდის მომზადებასა და ჩატარებაში, რაც დაწესებულებამ შეასრულა თავისი აქტივობებით 2020 წლის თებერვალში. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა/დაათვარიელა სადგურები, რომლებიც იყო სათანადოდ მომზადებული, არამარტო სიმულატორებითა და მულაჟებით, არამედ მისი სამედიცინო ინვენტარით და შესაბამისად კომპონენტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან.

საბჭოს თავჯდომარე, თამარ ზარანდია ჩაეკითხა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა მანჯავიძეს, რა რაოდენობის ტრეინინგები განხორციელდა დაწესებულებაში ამ მიმართულებით. ირმა მანჯავიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს საინტერესო კითხვისთვის და აღნიშნა, რომ ჩატარებული იყო ერთი ტრენინგი, თუმცა დეკანთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ OSCE-ის გამოცდის ჩატარების პროცესში, გამოიკვეთა, რომ ისინი აცნობიერებდნენ, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო ერთჯერადი, ეს ტრეინინგი იყო იმისთვის, რომ შეესწავლათ ზოგადი მენეჯმენტი და განევითარებინათ ზოგადი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე გამოკვეთა საჭიროება გამოცდების წინ თითოეული გამომცდელის/დამკვირვებლისთვის მოკლე ტრეინინგის ჩატარების შესახებ.

ექსპერტებმა მეოთხე სტანდარტის ნაწილში გადახედეს მოთხოვნებს პერსონალის არჩევის შესახებ, სადაც ნახეს ენის მოთხოვნები, ცვლილებები განხორციელდა არჩევის წესში, რაც ასევე იყო რეკომენდაცია და განხორციელდა, პროფესიული განვითარების შესახებ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ ტრენინგი გავლილი პრობლემაზე დაფუძნებული და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული პრაქტიკის შესახებ, რაც ინტერვიუების დროსაც ვლინდებოდა, თუმცა ჰქონდათ გარკვეული გეგმები, პედაგოგიკაში სხვადასხვა ტრენინგების და შესაბამისი თანხებიც იყო გამოყოფილი, აკადემიურ პერსონალთან და სხვა ჯგუფებთან შეხვედრამ საჭირო გახადა ექსპერტები დაინტერესებულიყვნენ (მათ აქვთ უფლებამოსილება, არჩევის წესში VI მუხლის ე პუნქტში, რომ განეხორციელებინათ ისეთი აქტივობებიც, რომლებიც ძირითად საკითხზე პასუხის გასაცემად დასჭირდებოდათ).

საბჭოს თავჯდომარემ დააზუსტა ჰქონდათ თუ არა რჩევაში აღნიშნული საკითხი.

ირმა მანჯავიძის თქმით, ეს საკითხი რჩევაშიც ჰქონდათ და მათ მხოლოდ რჩევები ჰქონდათ წარდგენილი და არაფერი შეუცვლიათ IV სტანდარტთან მიმართებით.

თამარ ზარანდიამ იკითხა ამ ეტაპზე რა რაოდენობაა და რამდენად საკმარისია უნივერსიტეტისთვის, ასევე, დააინტერესა რა რჩევა გასცეს ექსპერტებმა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის ნაწილი არ იყო ექსპერტთა ჯგუფის პირდაპირი შემოწმების საგანი, თუმცა გამოიკვეთა გარემოება, რომ დაწესებულება გეგმავდა გარკვეული სტრუქტურული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ანუ იგეგმებოდა ადმინისტრაციული პერსონალის გაზრდა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება იყო მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული და იგეგმებოდა პროგრამების დამატება, სტუდენტების რაოდენობის ზრდა და კვლევის განვითარება, ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ძალიან კარგი იქნებოდა ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის ზრდაც.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, ამ ეტაპზე რა რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალის ყავდა დაწესებულებას.

რექტორის მოადგილემ, გიორგი ცხვედიანმა უპასუხა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ყავდა 22 ადმინისტრაციული პერსონალი, დამხმარე და დროებით პერსონალის გარეშე..

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე სამსახურს, სადაც კარგი იქნებოდა გაზრდილიყო რესურსი სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა სტუდენტ-ექსპერტს, ანა ბაცანკალაშვილს.

ანა ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ სტანდარტის შეფასება საჭირი გახდა რამდენიმე გარემოების გამო, მათ შორის რათა ექსპერტთა ჯგუფს შეემოწმებინა პუნქტი სტუდენტთა ხელშეკრულებაში, რომელიც ეხებოდა სტუდენტის ინტელექტუალური საკუთრების საკითხს. ამ პუნქტის შემოწმებასთან ერთად ჯგუფი გაეცნო მთლიანად სტუდენტის ხელშეკრულებას, ასევე ირმა მანჯავიძე საუბრობდა პერსონალის ეთიკის კოდექსის შესახებ, გადამოწმდა, როგორც ეთიკის კოდექსი, ასევე ხელშეკრულებები, ანალოგიურად ჯგუფმა იმოქმედა სტუდენტების შემთხვევაშიც, რადგანაც უნდა მომხდარიყო არამხოლოდ დოკუმენტაციის შემოწმება, არამედ მისი პრაქტიკაში დანერგვის გადამოწმებაც. სტუდენტთა ეთიკის კოდექსში არ იყო შესული პუნქტი სტუდენტთა კონფიდენციალობის შესახებ, ეთიკის კოდექსში იყო სხვადასხვანაირი პრობლემა, მაგ., ეს იყო სტუდენტის პირადი გასინჯვა, ჩაცმულლობის წესი, გარეგნული სახე, სტუდენტთა დისციპლინური საქმის წარმოების თავისებურებები, თუმცა მოცემული მომენტისთვის არ შედიოდა კონფედენციალურობის საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად დაწესებულებას სურდა მოიპოვებინა ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე, რისი ლეგიტიმური ამბიციაც ჰქონდათ, თან საკმაოდ რეალურიც, ამის გათვალისწინებით როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი, მრავალწლიანი პრაქტიკოსი ექიმების გამოცდილებიდან, აუცილებელი იყო, რომ სტუდენტებს საწყისი ეტაპიდანვე მიწოდებოდათ ინფორმაცია და ეს ყველაფერი ლეგალურადაც, ხელშეკრულების პუნქტითაც შესულიყო.

ირმა მანაჯვიძემ VI სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექქსპერტთა მიერ გაცემული იყო 2 რეკომენდაცია და ვსანამ უშუალოდ ამ რეკომენდაციების განხორციელების განხილვაზე გადავიდოდნენ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თავად დაწესებულების რექტორის მიერ ცენტრის დირექტორის სახელზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ მიწერილ წერილში, მეხუთე პუნქტში მითითებული იყო, რომ შემუშავდა სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო,კვლევითი განვითარების სტრატეგია, რომელიც ნამდვილად შემუშავდა და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო, კვლევის პოლიტიკა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, დაფინანსების საკითხები და დეტალურად იყო გაწერილი შიდა გრანტების საკითხებიც, თუმცა ეს იყო დაგეგმილი 2020 წლის მესამე კვარტალიდან და შესაბამისად იყო PDCA ციკლის პირველ ეტაპზე. ექსპერტები იმედოვნებდნენ, რომ სათანადო თანხები იყო გამოყოფილი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, 60 დღიანი ვადის კვალობაზე, და იმის გათვალისწინებით რა პირობებშიც მუშაობდა დაწესებულება, მთელი მსოფლიო და ქვეყანა, ეს რეკომენდაცია რჩება იმ ფორმით რა ფორმითაც იყო წარდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ირმა მანჯავიძემ VII სტადარტთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ექსპერტ, ნინო ამირანაშვილს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით წინა მონიტორინგის ფარგლებში, რამდენიმე რეკომენდაცია იყო გაცემული, მათ შორის OSCE-ს საგამოცდო სადგურების გამართვას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა და რეკომენდაცია შესრულებულად შეაფასა.
ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია ექიმის კაბინეტზე, რომელიც ასევე გადამოწმდა ადგილზე მატერიალური რესურსების მონახულებისას, კაბინეტი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი/ხელოვნური განათებით, ნიავდებოდა, მუდმივად მარაგდებოდა ცივი/ცხელი

წყლით და ასევე ჰყავდათ მორიგე, რომელიც შესაბამისი პრობლემის შემთხვევაში, გაუწევდა სტუდენტებს დახმარებას, ასე, რომ ამ კომპონენტში რჩევაც და რეკომენდაციაც შესრულებული იყო.
ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა რეკომენდაციის შესრულება გარე პერიმეტრის კამერებთან დაკავშირებით, ასევე გადამოწმდა მორიგეობდა თუ არა შესაბამისი პერსონალი მონიტორებთან, რომელიც დაწესებულებას ასევე შესრულებული ჰქონდა, რაც შეეხებოდა საინფორმაციო რესურსებს, დაწესებულებას შემენილი ჰქონდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა KEYPS, რომელიც ამჟამად ინერგებოდა და ექსპერტებმა ასევე ნახეს დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტებიც და უშუალოდ სისტემაც, ასევე მატერიალური რესურსის მონახულებისას, ექსპერტებმა ნახეს პლაგიატის აღმოჩენის სისტემის Turnitin-ის მუშაობა, რომლის დანერგვაც უკვე დაწყებული იყო, თუმცა ინტერვიურებაზე გამოიკვეთა, რომ ამ პროგრამების დანერგვა ჯერ დასრულებული არ იყო, ექპერტთა აზრით კარგი იქნებოდა დაწესებულებას გაეკეთებინა ტრენინგები და უზრუნველეყო ინფორმაციის ეფექტური მიწოდება პერსონალისთვის ამ სისტემასთან დაკავშირებით;

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ამირანაშვილმა დაამატა, რომ საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემა OIS, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 2014 წლიდან, როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, თუმცა როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, აღმოჩნდა, რომ ეს სისტემა გამოიყენებოდა მხოლოდ დოკუმენტების შენახვისათვის, ხოლო დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოებისთვის მისი გამოყენება არ ხდებოდა. რაც შეეხებოდა მართვის საკითხებს, როგორც ექსპერტებმა ნახეს და ინტერვიუებითაც დადასტურდა, კომუნიკაცია ელექტრონული კორპორატიული მეილის საშუალებით ხდებოდა;
ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ კიდევ ერთი წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, რომლის შესრულების შეფასებაც განხორციელდა, ეხებოდა სერვერების გამართულობისა და უსაფრთხოების საკითხს. როგორც ექსპერტებმა მატერიალური რესურსების მონახულებისას გადაამოწმეს, ინფორმაცია ინახებოდა 2 სერვერზე, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე იყო განთავსებული, დაწესებულებას ჰქონდა დოკუმენტი საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მოქმედებდა და ამ დოკუმენტებში მითითებული იყო, რომ კომპიუტერულ ქსელებთან დაკავშირებული სისტემების მიერ უწყვეტი სამუშაოს უზრუნველყოფისთვის განხორციელებული შემოწმებები.

მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების ვებგვერდიც, რადგან უშუალოდ საბჭოს სხდომაზე წამოჭრილი იყო ვებგვერდის გაუმართაობის საკითხი და ნახეს, რომ ვებგვერდი ნაწილობრივ განახლებული და ორენოვანი იყო, ინგლისურ ენაზე უფრო მეტი და განახლებული ინფორმაცია იძებნებოდა, თუმცა ქართულ ენაზე ზოგჯერ იყო ინფორმაცია ძველი სტრუქტურის შესახებ, ასევე არ იყო განახლებული ინფორმაცია დაწესებულები მისიისა და ხედვის შესახებ, ამიტომ ვინაიდან ელექტრონული სისტემა KEYPS დანერგვის საწყის ეტაპზე იყო და OIS-ს გამოყენება მართვის პროცესში არ ხდებოდა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება დროულად არ ხდებოდა, ექსპერტებმა აღნიშნული სტანდარტის შეფასება დატოვეს უცვლელი და იყო მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ;

- რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები; სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაში ელექტრონული სისტემების ეფექტური და დროული დანერგვის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აკადემიური პერსონალისთვის Turnitin-ისა და KEYPS-ის სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ: ტრენინგების ორგანიზება). მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით დაწესებულებაში დაინერგოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დროული განახლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ სხდომას ესწრება დაწესებულების ხუთი წარმომადგენელი, მათ შორის დაწესებულების რექტორი, დემეთ აქინი, რომელიც მოკლე შესავალს გააკეტებდა, დამატებით აღნიშნა, რომ რექტორს არ შეეძლო ქართულ ენაზე კომუნიკაცია, შესაბამისად მასთან მიმართვის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ინგლისურად მიმართვა. რექტორის მოადგილემ მოკლე წარდგენის გასაკეთებლად მიმართა რექტორს.

რექტორი, დემეთ აქინი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, წარუდგინა თავი და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პანდემიის გამო იმყოფებოდა სტამბულში, მაგრამ ყოველდღიურად მუშაობდა თავის გუნდთან ერთად და მას შეეძლო ეპასუხა საბჭოს მიერ დასმული კითხვებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს, აღნიშნა, რომ ფაქტობრივად, დაწესებულებამ მთელი ავტორიზაცია გაიარა და თითქმის ყველა სტანდარტზე საკმაოდ ბევრი კითხვა დაისვა, ექსპერტებმა ძალიან კარგი და პროფესიონალური დამოკიდებულება აჩვენეს, რაც უნივერსიტეტისთვის ძალიან კარგი იყო, გამოცდილების თვალსაზრისითაც და გარკვეულწილად მომზადებაც გაიარეს ავტორიზიისთვის, რომელიც დაწესებულებას მომდევნო წელს უწევდა.

გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა რეკომენდაციებსა და რამდენიმე რჩევას, ძირითადად პოზიტიური ხასიათის იყო, როგორც ექსპერტმაც აღნიშნა, მათ სურდათ, რომ ფორმულირებებშიც საერთო აზრი ყოფილიყო და ამიტომ იყო მათი არგუმენტირებული პოზიცია ვრცელი.

რექტორის მოადგილემ, გიორგი ცხვედიანმა არნიშნა, რომ რეკომენდაცია 1-ში ნათქვამი იყო, რომ მეტი აქცენტი გაკეთებულიყო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ, რაც ძალიან კარგი რეკომენდაცია იყო და ყველა დაწესებულებას აქედან გამომდინარე, მათ გადადგეს ნაბიჯები დაგეგმარების, სტრატეგიისა და ბიუჯეტირების თვალსაზრისით, გამოთქვეს იმედი, რომ ექსპერტებიც დაადასტურებენ რომ გამოყოფილი იყო შესაბამისი თანხა, რეგულაციები, საგრანტო პრიორიტეტები ჩადებული იყო დოკუმენტებში, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლების თვალსაზრისით, რეკომენდაცია შესრულებული იყო. დაწესებულებამ საბჭოს სხდომის ოქმი მიიღო 22 მარტს, როდესაც ქვეყანაში უკვე გამოცხადებული იყო საგანგებო მგომარეობა, აქედან გამომდინაარე მათთვის გაუგებარი იყო ექსპერტთა მოლოდინი, რომ ჯერ საგანგებო მდგომარეობისა და შემდეგ კარანტინის პერიოდში, როგორ უნდა შეეძლებოდათ დაწესებულების პერსონალის გამგზავრება საზღვარგარეთ ან სად უნდა გაემგზავრებინათ, რადგან კონფერენციები იყო

დისტანციურად და შესაბამისად არ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა შეფასებას, რომ დაწესებულებამ არ გაითვალისწინა, და მეტი ყურადღება არ მიანიჭა პერსონალის საზღვარგარეთ სტაჟირების საკითხს. გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ მათ შეძლეს ის რაც შესაძლებელი იყო ამ პირობებში, ასევე აღნიშნა, რომ წინა წლის ნოემბრსა და დეკემბერში დაგეგმილი იყო აქტივობები და პანდემიას რომ არ შეეშალა ხელი, რამდენიმე მათგანი ჩატარდებოდა კიდეც ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში. ასევე გაუქმდა, გადაიდო ან დისტანციურად ჩატარდა პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული აქტივობები. ასევე აქტივობებზე მეტი აქცენტი გაკეთდა სტრატეგიულ გეგმაში და აისახა დაგეგმილ ბიუჯეტშიც, შესაბამისად ეს ყველა მოცემულობა მიუთითებდა რეკომენდაციის შესრულებაზე.

რექტორის მოადგილემ, გიორგი ცხვედიანმა წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე დაწესებულება დაეთანხმა საბჭოს, შეიმუშავა შესაბამისი ანგარიში და ელოდებოდა აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნული ანგარიშის შესაჯამებლად და გამოსაქვეყნებლად. ხოლო ის ფაქტი, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ წინა წლის ანგარიში უნდა შეეცვალათ და ვებ-გვერდზე დაედოთ, მათთვის გაუგებარი იყო.

რექტორის მოადგილემ მართვის პროცესში ელექტრონული სისტემების გამოყენების შესახებ აღნიშნა, რომ აქ რეკომენდაციის ინტერპრეტაციას ჰქონდა ადგილი, რადგან პირველ მონიტორინგზე იყო დაწესებულება KEYPS დანერგვის ეტაპზე, მიდიოდა მოლაპარაკებები, სარგებლობდნენ საცდელი ვერსიით, რომელიც დატესტილი ჰქონდა რამდენიმე პერსონალის წარმომადგენელს, სტუდენტსა და ადმინისტრაციის თანამშრომელს, როგორიცაა საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი და ა.შ.. იმ შემთხვევისთვის ეს რეკომენდაცია აბსოლუტურად სწორი იყო, რადგან მათი ძველი LMS, ე.წ. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა არ იყო მედიცინას მორგებული, მითუმეტეს ინტეგრირებულ პროგრამაზე, ძალიან ბევრი რამ მათ სურვილებსაც არ ასრულებდა და ხანგრძლივი შერჩევის შემდეგ აირჩიეს ახალი სისტემა, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებული და დახვეწილი იყო ქართულ ბაზარზე არსებულ სხვა სისტემებთან შედარებით. დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ ნახსენები პერსონალის უკმაყოფილებაც აქედან გამომდინარე იყო, ვინაიდან სისტემაში მუშაობა საკმაოდ შრომატევადი იყო, მაგრამ არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში კარგი სისტემა იყო, ზუსტად ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები ინტერვიუების დროს ძირითადად საუბრობდნენ LMS-ზე, რაც შეეხება მენეჯმენტის სისტემას, გაუგებარი იყო რა სახის სისტემებზე საუბრობდა, რამდენად ლოგიკური იყო ალტერნატიული სისტემის დანერგვა, მაგალითად ERP რადგან ისეთი მძიმე სისტემაა, როგორიც 1S ან SAP, 25 კაციან ადმინისტრაციაში, ეს პროცესების დაჩქარებას კი არ უზრუნველყოფდა, არამედ უფრო შეანელებდა. ხოლო, თუ საქმისწარმოების სისტემაზე იყო საუბარი, მაშინ OIS ასრულებდა ამ ფუნქციას, მაგალითად წერილების დამუშავება, შენახვა, დაარქივება და მოძიება, თუ საუბარი იყო კოლაბორაციაზე, ამითვის დაწესებულება იყენებდა სხვა რესურსებს, დაწყებული Google-ის ბიზნეს პაკეტით, დამთავრებული Trello-თა და Timedoctor-ით, ორივე ეს სისტემა იძლეოდა კოლაბორაციის საშუალებასაც.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თეა მიქელაძემ ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დაამატა, რომ წინა მონიტორინგის მართვის პროცესებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც ეწერა რომ საქმისწარმოების მიმართულებით ელექტრონული პროგრამა სრულად გამართული იყო და მაშინ ძირფესვიანად შეამოწმეს ელექტრონული სისტემა OIS, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა როგორ იყო მიბმული კორპორაციულ მეილთან. სამწუხაროდ ამ მონიტორინგის დროს ექსპერტები პირადად ამოწმებდნენ OIS-ის სისტემას, ასევე დაისვა კითხვა, რომ OIS-ში გარდა იმისა რომ იტვირთებოდა დოკუმენტაცია და ელექტრონულად ხდებოდა დოკუმენტაციის გატარება, თუ

ქონდა მართვის პროცესში რაიმე სახის ჩართულობა, კონკრეტულად დაისვა კითხვა კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ანუ იმის შემდეგ რაც OIS-ში აიტვირთებოდა დოკუმენტაცია როგორ ხდებოდა ამის მიწოდება თანამშრომლებისთვის. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, ექსპერტებს აუხსნა, როგორც იყო კორპორატიული მეილით, თუმცა თემა არ ჩაუშლია, რადგან ჩათვალა რომ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა დადებითად იყო შეფასებული წინა მონიტორინგის დროს და დამატებითი კითხვები არ არსებობდა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2019 წლამდე სარგებლობდნენ კორპორატიული მეილით, რომელის პროვაიდერიც იყო ქართული კომპანიაა „პროსერვისი“ და იქიდან გამომდინარე რომ თანამშრომელთა რაოდენობა იზრდებოდა, მათი პარტნიორის, ვაშინგტონის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ იქნა გაწევრიანებულიყვნენ Gmail Business-ის პროგრამაში.

რექტორის მოადგილე, გიორგი ცხვედიანმა შეაჯამა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სიტყვები, და აღნიშნა, რომ მათ რეალურად ასე გაიგეს კითხვა, რომ ექსპერტებმა სთხოვეს ეჩვენებინათ რითი ხდებოდა საქმისწარმოება, მათ აჩვენეს OIS-ის სისტემა, უპასუხეს კითხვებზე, მართვაში იყენებდნენ თუ არა, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა არა, რადგან სხვა ინსტრუმენტები ჰქონდათ, უბრალოდ ხდებოდა მმართველობით პროცესში კოლაბორაცია და აღარ ჩასულან სიღრმეებში, რადგან არ ეგონათ ვიზიტის ფარგლებში გამოსაკვლევი საკითხი. მან რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რჩევას კონფიდენციალობის საკითხთან დაკავშირებით, ფიქრობდნენ ამაზე და ვინაიდან იურისტებიც და მედიცინის წარმომადგენლებიც იყვნენ სხდომაზე, რამდენიმე პრობლემურ საკითხს შეეხებოდნენ, კერძოდ სამედიცინო თვალსაზრისით, ეს იყო ექიმის პროფესიული ღირსების ერთ-ერთი ამოსავალი და ხელშეკრულებაში ამის ჩადება შეურაცხმყოფელი იქნებოდა სამედიცინო პერსონალისთვის, ხოლო იურიდიული თვალსაზრისით, ექიმი რომელსაც ყავდა პაციენტი კლინიკაში, დაწესებულებას კლინიკურ სტაჟირებაზე ჰქონდა ხელშეკრულება იურიდიულ პირთან, სამედიცინო დაწესებულებასთან/კლინიკასთან, ის ექიმი ამავდროულად იყო იმ კლინიკაში დასაქმებული და პაციენტი იყო კლინიკის მომხმარებელი, აქედან გამომდინარე მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებაში, იმის ჩარევა როგორ მოემსახურება სხვა დამსაქმებლის კლიენტს, რექტორის მოადგილის აზრით, არალეგიტიმური იყო.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია არ დაეთანხმა აღნიშნულ პოზიციას, რადგან ეს ნაწილი დასკვნაში როგორც რჩევა ისე იყო მიცემული და ძალიან გონივრულადაც. გიორგიმ ცხვედიანმა განაცხადა, რომ თუ აქვთ ამის უფლება სტუდენტებთან გაითვალისწინებენ, თუმცა პერსონალს ამით არ გააღიზიანებენ. საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ პერსონალს სხვა სტანდარტები ჰქონდა, რომელიც დადგენილი იყო. გიორგი ცხვედიანის თქმით, აღნიშნული საკითხი ეთიკის კოდექსშია გაწერილი.

თამარ ზარანდიას თქმით, თუ ეთიკის კოდექსში ეწერათ, აღნიშნულის დუბლირება საჭირო არ იყო, მაგრამ მას გონივრულად მოეჩვენა, ექსპერტის რჩევა, რომ სტუდენტებთან მიმართებით ეს იქნებოდა სწორი, თუმცა ეს ისეთი სფერო იყო, რომელიც კარგად რეგულირებული არ არის არც სხვა დაწესებულებებში, თუმცა სავსებით ლეგიტიმური და საჭირო რჩევა ჰქონდათ მიღებული ექსპერტებისგან.

რექტორის მოადგილემ, გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ მათ უბრალოდ უნდოდათ წარმოეჩინათ, რომ ნაფიქრი ჰქონდათ ამ საკითხზე, ჰქონდათ შესაბამისი რეგულაცია, სტუდენტთან მიმართებაში ჰქონდათ რამდენიმე რეგულაცია, იყო კურიკულუმის შიგნით.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ ეს იყო ზოგადად პერსონალური მონაცემები, შესაბამისად კონკრეტული რეგულაცია თუ იქნებოდა, ეს იქნებოდა დაწესებულებისთვის სწორი გადადგმული ნაბიჯი.

გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ დაწესებულება წინააღმდეგი არა იყო, უბრალოდ, წინა მონიტორინგიდან გამომდინარე, როდესაც სწორ რეკომენდაციებს დათანხმდნენ და მერე იმის იქით ძალიან ბევრი რამ შემოწმდა, მარტო ამიტომ სცადეს რომ დაეზღვიათ თავი, პლიუს ამას სტუდენტი ასრულებდა პორტფოლიოს, სადაც მისი შეფასებები და მისი პაციენტთან ურთიერთობის გამოცდილებად აისახება და საზღვარგარეთ ექიმისა და სწავლის გამგრძელებელი სტუდენტის ერთ-ერთი შეფასება მთავარი ინსტრუმენტი იყო და მისი აზრით, თამამად შეიძლებოდა გამოეყენებინათ. ერთი რჩევა იყო პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით და კარგი იყო, რომ ექსპერტმა აღნიშნა რაზე იყო საუბარი, რადგან პირველად დასკვნა ისე იკითხებოდა, თითქოს რომელიმე დასაქმებულს არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია, არ იყო ბოლომდე დასაბუთებული და დაწესებულების წარმომადგენლები ვერ მიხვდნენ რაზე იყო საუბარი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ აღნიშნულ ნაწილში არაფერი შეცვლილა, იგივე რჩევაა, რაც წინა დასკვნაში იყო, შესაძლებელია უბრალოდ ტექსტი არ იყო აღქმული ისე, როგორც ექსპერტებს ეწერათ.

გიორგი ცხვედიანმა ბოლო საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა Turnitin-სა და KEYPS-ზე, აღნიშნა, რომ ეს სისტემები დანერგილი იყო, დანერგვის რეჟიმში KEYPS იყო წინა სემესტრში, დაინერგა 2020 წლის აპრილში და მას შემდეგ მოქმედებდა და ყველა პროფესორი ამ სისტემაში მუშაობდა, თუმცა ყველა კმაყოფილი არ იყო და შეიძლება ექსპერტებს ამიტომ დარჩათ აღნიშნული შთაბეჭდილება. რაც შეეხებოდა Turnitin-ს, ისიც უკვე დანერგილი იყო, პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი ყველა სასწავლო კურსში, პროგრამაში, თუმცა ზოგიერთი კურსი შეიძლება არ ითვალისწინებდა მის გამოყენებას, მაგრამ ასეთი კურსების რაოდენობა არ წარმოადგენდა დაწესებულებაში აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ სადაც გათვალისწინებული იყო ესსე, ღია კითხვებზე პასუხი, ან წერითი ნაშრომი, ზუსტად აკადემიური კეთილსინდისიერების დასადასტურებლად (მათ შორის დისტანციური სწავლებისასაც), სწავლებაში იყენებდნენ Turnitin-ს, მათ შორის საგამოცდო ნაშრომებზეც და შესაძლებელი იყო სწორედ დისტანციურ სწავლებას გამოეწვია, რომ ასე ფართოდ არ გამოიყენებოდა Turnitin, რადგან გამოცდების დიდი ნაწილი ტარდებოდა ზეპირად, კომისიური წესით, სტუდენტს ჰქონდა შეზღუდული დრო და კომპანია ვიდეო კონტაქტით ამოწმებს მის ცოდნას, ინტერაქციულად, აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში Turnitin-ის აუცილებლობა არ იყო.

ბოლოს კი აღნიშნა, რომ მათ ჩაატარეს ტრენინგი და ჰქონდათ შესაბამისი სერტიფიკატები, ტრენინგების Zoom ჩანაწერები, რომელიც შეეძლოთ წარედგინათ, ამ წლის განმავლობაში, ჰქონდათ ტრენინგები, როგორც Zoom-ის გამოყენებასა და დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით, Turnitin-ის გამოყენებასთან და KEYPS-ს გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე ორი სხვა პროგრამის, რომელიც დასკვნაში აღნიშნული არ არის, მაგალითად Timedoctor, რომელსაც ზუსტად აკადემიური პატიოსნებისთვის იყენებდნენ, ეს იყო პროგრამა, რომელიც აჩვენებდა რას საქმიანობდა სტუდენტი კომპიუტერში Zoom ჩართვისას. საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაინტერესდა, მოიცავდა თუ არა მხოლოდ საგამოცდო პერიოდს.

რექტორის მოადგილემ უპასუხა, რომ ეს მოიცავდა საგამოცდო პერიოდს, სტუდენტი ააქტიურებდა სესიას და დაწესებულების წარმომადგენლები უყურებდნენ მას, პილოტირება მოახდინეს რამდენიმე შუალედურ გამოცდაზე, დასკვნითებზე დანერგეს და წინააღმდეგობაა

არ იყო, პირიქით მათ სტუდენტებს ჰქონდათ პრეტენზია, რომ როცა გაიგებდნენ ვინმეს მასზე მაღალი შეფასება ჰქონდა ეჭვდებოდნენ, ხომ არ ჰქონდა ადგილი გადაწერას, შესაბამისად ემხრობოდნენ აღნიშნული სისტემის დანერგვას. დაწესებულებაში ასევე Body Interact-ზე, რომელიც ასევე ელექტრონული სწავლების სისტემაა, ჩატარდა ტრენინგი. გიორგი ცხვედიანმა ბოდიში მოუხადა საბჭოს წევრებს, რომ დიდი დრო წაართვა და სიტყვა გადასცა დეკანს, ლეილა ახვლედიანს.

დაწესებულების დეკანმა, ლეილა ახვლედიანმა KEYPS-ის სისტემასა და OSCE-თან დაკავშირებით დაამატა, რომ KEYPS-ის სისტემა ნამდვილად დაინერგა, 2020 წლის მარტიდან და სასწავლო პროცესის დაწყებამდე მათ ინტენსიური ტრენინგები ჰქონდათ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რადგან მისი ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტებთან ურთიერთობიდან გამომდინარე, პირველად იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ძალიან ეთიკური ქცევით გამოირჩეოდნენ და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა. KEYPS-ის სისტემასთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ საკმაოდ მრავალმხრივი სისტემა იყო და ყველა მის ნაწილს ამ დროის განმავლობაში ფიზიკურად ყველა პედაგოგი ვერ გაეცნობოდა, დაწესებულებამ პირველ რიგში ინტენსიურად დაიწყო ტრენინგები სასწავლო მასალების ატვირთვასთან დაკავშირებით, საგამოცდო ტესტების გამოყენებასა და ელექტრონული ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით, ასევე ხაზგასმით განაცხადა, რომ ყველა ელექტრონულ სისტემას არ იცნობდა, თუმცა ქართულ სივრცეში დაწესებულების წარმომადგენლები ეცადნენ ენახათ კომპანია, რომელიც ინტეგრირებული სწავლების ელექტრონულ ჟურნალს ააწყობდა და სამწუხაროდ ვერცერთმა კომპანიამ ვერ შეძლო ამის დაკმაყოფილება და აქედან გამომდინარე KEYPS იყო ის სისტემა, რომელიც ინტეგრირებულ სწავლებაზე იყო ინტენსიურად მორგებული. მისი თქმით, ყველა ჩანაწერი გაკეთებული იყო Zoom-ის მეშვეობით, თავისი თარიღების მითითებით და დაწესებულებას შეეძლო მიაწოდებინა საბჭოსთვის ეს ინფორმაცია, რომ უამრავი ტრენინგი ჩატარდა KEYPS-ის სისტემაზე და კიდევ ერთი დადებითი რაც მას ახასიათებდა იყო ის, რომ ყოველ საკითხზე მიბმული იყო სწავლის შედეგი და ყოველი სწავლის შედეგზე მიბმული იყო კონკრეტული კითხვა. მისი აზრით როდესაც ეს სისტემა ბოლომდე აეწყობოდა, იქნებოდა ძალიან მაგარი და გამოთქვა მზადყოფნა გაეკეთებინა პრეზენტაცია სამედიცინო სკოლებთან, შემდეგი ყურადღება გაამახვილა OSCE-ზე, რომ არ შეწყვეტდნენ ტრენინგებს OSCE-თან დაკავშირებით. საბჭოს თავჯდომარემ დაადასტურა, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო.

ფაკულტეტის დეკანმა, ლეილა ახვლედიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ უკვე შეიძინა ვირტუალური პაციენტი, რომელსაც ჰქონდა იდეალური საშუალება და შესთავაზა საბჭოს წევრებს ეკრანის გაზიარება და ჩვენება, აღნიშნა, რომ ასევე ჰქონდა OSCE-ს გამოცდის ჩატარების საშუალება, 2-3 დღე მიმდინარეობდა ტრენინგი აღნიშნულ საკითხზე, როგორ უნდა შექმნილიყო OSCE-ს გამოცდა ვირტუალური პაციენტის სისტემაში და ესეც მისცემდათ საშუალებას, ცოცხალ რეჟიმში არსებული პროცესის ვირტუალურ რეჟიმში გადასატანად. ასევე ბოლო 5 წლის გამოცდილების ჩანაწერთან დაკავშირებით დეკანმა აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერი იყო აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, სადაც ეწერა ყველა პუნქტზე/აკადემიურ პოზიციაზე, ბოლო 5 წლის გამოცდილება, მაგრამ სიტყვა „ბოლო“, გაპარული იყო მოწვეული პერსონალის არჩევის წესში. რექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ ნამდვილად იზიარებდნენ შენიშვნას და აღნიშნა, რომ პერსონალის გადამოწმების დროს შესაძლებელი იყო იმის დადგენა, რომ ყველას რელევანტური გამოცდილება ჰქონდა. დეკანმაც, დაადასტურა, რომ აბსოლუტურად ყველას ჰქონდა ბოლო 5 წლის გამოცდილების ცნობა წარდგენილი, როგორც მოწვეულს, ისე აკადემიურ პერსონალს.

საბჭოს თავჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მადლობა გადაუხადა ლეილა ახვლედიანს მიწოდებული ინფორმაციისთვის.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თეა მიქელაძემ, ექსპერტის კომენტარზე ვებ-გვერდის გაუმართაობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს საკითხი წამოჭრილი იყო ავტორიზაციის საბჭოს წინა სხდომაზეც, დაწესებულება არ ეთანხმებოდა ვებ-გვერდის გაუმართაობის საკითხს, წინა სხდომაზე მოძებნილი იყო გარკვეული საკითხები კვლევებთან დაკავშირებით და აღინიშნა, რომ ვებგვერდი არ იყო „user friendly", რადგან საკმაოდ გაჭირდა ინფორმაციის მოძიება და ამის შემდეგ დაწესებულებამ სრულად განაახლა ვებ-გვედი, იმ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, თუ სად შედიოდა მომხმარებელი ყველაზე ხშირად, რომელ ერთეულებს ნახულობდა, ამასთან შესაბამისობაში განახლებულ იქნა მთელი ვებგვერდი და ამასთანვე დაწესებულება არ ეთანხმებოდა იმ ნაწილს, რომ ინგლისურ ნაწილში უფრო მეტი ინფორმაცია იყო ვიდრე ქართულში, იყო სხვაობა დოკუმენტაციის ჩამონათვალში, შიდა ნორმატულ აქტებში, რადგან ის ნაწილი რაც ინგლისურენოვან სტუდენტს სჭირდებოდა ნათარგმნი ჰქონდათ და გაზიარებული იყო ინგლისურ ენაზე, თუმცა სხვაობა იყო სტუდენტების ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა, რომ მცირედ, მაგრამ განსხვავება ამ ნაწილში იყო.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თეა მიქელაძემ დაადასტურა და განმარტა, რომ მიღების ნაწილშიც იყო სხვაობა, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ განსხვავებული პროცედურებია საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელი მოქალაქეებისთვის, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტ ნინო ამირანაშვილს იმ ნაწილში, რომ მისია და ხედვა ნამდვილად არ იყო განახლებული იმ მომენტისთვის, როდესაც ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი, რადგან როდესაც სტრატეგიული გეგმა განაახლეს და ატვირთეს, ტექნიკურად გაეპარათ ეს საკითხი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ ესეც გამოასწორეს, ასე, რომ ვებგვერდის გაუმართაობის საკითხზე ფიქრობდნენ, რომ ნამდვილად არ იდგა.

დეკანმა, ლეილა ახვლედიანმა დაამატა, მიუხედავად იმისა, რომ სადმე გამგზავრება შეუძლებელი იყო, მათ ჩაატარეს ტრენინგი Zoltero-ს სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც იძლეოდა იდეალურ საშუალებას სტატიების შემუშავების დროს, სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებზე/სამეცნიერო სტატიებზე დაყრდნობასთან დაკავშირებით, ეს ტრენინგი ჩაუტარდა პერსონალს და ასევე სექტემბრის მეორე ნახევარში ექნებოდათ კიდევ ერთი დიდი ტრენინგი, სამეცნიერო ნაშრომების შემუშავებაზე.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ გასაგები და ნათელი იყო სურათი და რაიმე საკითხის დაზუსტების სურვილის შემთხვევაში სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტმა. ნინო ამირანაშვილმა ისაუბრა ვებგვერდისა და მართვის სისტემის გამართულობის საკითხზე, აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ წვდომა წინა ექსპერტების მიერ დამუშავებულ მთელ ინფორმაციაზე, მათ მიეწოდათ მხოლოდ დასკვნა და რეკომენდაციები, ასევე ჰქონდათ წვდომა საბჭოს ოქმზე და უშუალოდ მსჯელობის მთელი მიმდინარეობა მათთვის უცნობი იყო, ამიტომ მართვის ელექტრონული სისტემის გამართვა არ მიიჩნეოდა, როგორც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამართვად, რადგან ეს არ იყო მხოლოდ ერთადერთი ელექტრონული სისტემა, რომელიც დაწესებულების მართვაში გამოიყენებოდა, ამიტომ ექსპერტები სვამდნენ კითხვებს ზოგადად მართვის სისტემებთან დაკავშირებით და როგორც ჩანს დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ კონკრეტულად სასწავლო პროცესის მართვის სისტემაზე იყო საუბარი და პასუხებიც იყო შესაბამისი.

რექტორის მოადგილემ დაადასტურა აღნიშნული მოსაზრება.

ექსპერტმა დაამატ, რომ რაც შეეხებოდა ვებგვერდის გამართვას, გულისხმობდა, მასზე განთავსებული ინფორმაციის დროულ განახლებას, რეკომენდაცია ეხებოდა ვებგვერდის გამართულობას, რა თქმა უნდა არ უნახავთ ძველი ვებგვერდი, რადგან განახლებული ვებგვერდი დახვდათ, როდესაც ვიზიტის პერიოდში მივიდნენ დაწესებულებაში, მათ გადაამოწმეს, რამდენად სრულად და დროულად იყო ინფორმაცია განახლებული, ექსპერტებმა გაითვალისწინეს ექსპერტების მიერ გაგზავნილი წერილი და რეკომენდაციაში დააზუსტეს რას გულისხმობდნენ ვებგვერდის გამართულობაში, მათ რეკომენდაციაში წერია: „დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დროული განახლება“, რადგან ექსპერტებს არ აქვთ შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ვებგვერდი არ არის „user friendly“. ასევე, Turnitin-ისა და KEYPS სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგადად მიესალმებოდნენ ამ წამოწყებას, რადგან თვითონ KEYPS ძალიან კარგი სისტემა იყო სასწავლო პროცესს მართვისათვის, განსაკუთრებით სამედიცინო სფეროში და მიესალმებოდნენ რომ ამაზე შეჩერდა არჩევანი და დაწესებულებამ შეიძინა, თუმცა ექსპერტები წერდნენ დასკვნას და აკეთებენ რეკომენდაციებს არა მხოლოდ დოკუმენტების, არამედ ვიზიტის დროს ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი მდგომარეობების გათვალისწინებით, ასე ჩანდა, რომ ბოლომდე ეს სისტემები დანერგილი არ იყო და ამიტომ დარჩა ეს რეკომენდაცია ძალაში და ეცადნენ დაეკონკრეტებინათ რას გულისხმობდნენ, რომ შედეგში არ ყოფილიყო აზრთა სხვადასხვაობა ტექსტის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.

გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ მას ესმოდა, ისიც, თუ საიდან გააკეთებდა ექსპერტთა ჯგუფი ამ შეფასებებს, შეიძლება პერსონალის ნაწილისთვის ინფორმაცია არ იყო ბოლომდე ამომწურავი, ერთადერთი რითიც დაწესებულებას შეეძლო პასუხის გაცემა იყო ის, რომ ტრენინგზე დამსწრეთა სიები, ტრენინგების ჩანაწერები, სერთიფიკატების ასლები, ეს ყველაფერი დაწესებულებას ჰქონდა და შეეძლოთ წარმოედგინათ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ იკითხეს როგორ ხდებოდა ამ ყველაფრის გამოყენება და უნდოდათ ადგილზე გაცნობოდნენ გამოყენების მაგალითებს.

საბჭოს თავჯდომარის თქმით, ექსპერტების და დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები გასაგები და ნათელი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ირმა მანჯავიძემ განაცხადა, რომ ძალიან მოხარული იყო იმ ფაქტით, რომ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ ერთნაირად, რადგან ექსპერტების რეკომენდაციები მიმართული იყო იმისკენ, რომ დაწესებულება განვითარებულიყო. ირმა მანჯავიძემ დაამატა, რომ 6.2 და 6.3 სტანდარტის კომპონენტები, მეტწილ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, მეტწილი შესაბამისობა ნიშნავდა, რომ მათ დაგეგმილი/გაკეთებული ჰქონდათ აქტივობები, შემუშავებული იყო ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი დოკუმენტები, გამოყოფილი იყო თანხა და ამიტომ ეს საფუძველი იყო იმისა, რომ ისინი საუნივერსიტეტო კვლევებს გააკეთებდნენ კარგად, თანაც ეს 2 კომპონენტი არ იყო განკუთვნილი 60 დღეზე, ესენი იყო გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი რეკომენდაცია დაწესებულებას დიდ მუშაობა ჰქონდა გაწეული, თუმცა შედეგები ვერ დადგებოდა მასეთ მოკლე დროში.

18:55 საათზე საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავჯდომარის თქმით, დაწესებულებამაც აღნიშნა, რომ აღნიშნული მონიტორინგი მათთვის განმავითარებელი ხასიათის იყო, ხოლო 60 დღე იყო ძალიან მცირე ვადა რიგ

საკითხებში შედეგების მისაღწევად. ასევე, გამოთქვა მოსაზრება, რომ სურათი ნათელია, პრინციპში დასკვნაც და შეფასებებიც ცნობილი იყო საბჭოსთვის. მან მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით შეკითხვები.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მზაობა განვითარებისთვის და გაფართოებისთვის, მადლობა გადაუხადა ირმა მანჯავიძესა და ყველა ექსპერტს, რადგან ძალიან ნათლად წარმოაჩინეს დაწესებულება, მაგრამ მისი მხრიდან აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო, რომ თითქმის ყველა სხდომაზე ყველა დაწესებულებას სთავაზობდა იმ აქტივობებს, რომელიც მას, როგორც მკვლევარსა და სხვადასხვა ინსტიტუციის პროფესორს ან/და ხელმძღვანელს გააჩნდა. დამატებით აღნიშნა, რომ ეს დაწესებულება იყო იმათ შორის, რომელმაც სრულყოფილად გამოიყენა ყველა აქტივობა, მათ დადეს მემორანდუმები, დაიწყეს რეალური კვლევები, ამიტომ ცოტა უკვირდა, როდესაც ინტერნაციონალიზაციის პრობლემაზე იყო საუბარი. ასევე დაწესებულება იღებდა მონაწილეობას ინგლისურენოვან კონფერენციებზე, ასევე აღნიშნა, რომ ეს არ იყო რა თქმა უნდა საკმარისი და გამოთქვა იმედი, რომ დაწესებულება კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, ხოლო საბჭოს მიზანი დაწესებულებების სტიმულირება და არა დასჯა.

საბჭოს თავჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 19:06 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 19:12 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის (ს/კ: 445434888) მონიტორინგთან დაკავშირებით.

3.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

19:17 საათზე საბჭოს წევრი, თამარ იოსელიანი შემოერთა საბჭოს სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ლევან ცაგარელმა განაცხადა, რომ ფაქტობრივად ივნისის სრული თვე დაეთმო მონიტორინგს, რადგან დაიწყეს დოკუმენტების შესწავლით, შემდეგ მოითხოვეს დამატებითი საბუთები. შემდეგ ჰქონდათ შეხვედრა დაწესებულების სხვადასხვა წარმომადგენლებთან, მათ შორის დოქტორანტებთან და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთანაც, შედეგად შეექმნათ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რამდენად შესრულდა გაცემული რეკომენდაციები, თვითონ ექსპერტთა საბჭოს შიგნით იყო საკმაოდ ხანგრძლივი მსჯელობა, რამდენჯერმე შეცვალეს ტექსტი, თუმცაა ეს ბუნებრივი და ნორმალური პროცესი იყო. ზოგადი შთაბეჭდილება იყო ის, რომ თვალსაჩინო იყო ცვლილებები, დაწესებულება სერიოზულად მუშაობდა იმ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე, რომლებიც გაცემულ იქნა 2 წლის წინ, დაწესებულებაში იყო განვითარების დადებითი დინამიკა. ჯგუფის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ 2 წელში კვლევის ინდიკატორების რადიკალურად შეცვლა იყო ძალიან რთული და დაწესებულებას სჭირდებოდა მეტი დრო. თუმცა აღნიშნა, რომ იყო გარკვეული ხარვეზი თარგმანში და შესაბამისად რეკომენდაციების აღქმაში ვინაიდან ავტორიზაციის პროცესი იყო ორენოვანი. ხოლო დაწესებულებამ ლოგიკურად გაითვალისწინა ქართულენოვანი ვარიანტები. ექსპერტმა კი გადახედეს და გაითვალისწინეს ორივე ენაზე ნამუშევარი დოკუმენტი, შედეგად გამოვლინდა რომ დაწესებულებას რეკომენდაციების გარკვეული ასპექტები არ იყო გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები:

- საჭიროა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მოთხოვნები თანდათან გაიზარდოს და მოთხოვნების ცვლილების შედეგები რეგულარულად გაანალიზდეს.
- შესასრულებელი კვლევის ხასიათის დაგეგმვისას მხედველობაში მისაღებია ფინანსური შეზღუდვები, ინფრასტრუქტურა და მკვლევართა კრიტიკული მასა.
- ბსუ-მა ბოლომდე უნდა მიიყვანოს კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პროცედურა, ჯეროვნად შეაფასოს და გააანალიზოს პრიორიტეტიზაციის შედეგები.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა კვლევის ხარისხისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად. •ბსუ-მა მეტი უნდა იმუშაოს კვლევით საქმიანობაში ინდუსტრიის საჭიროებების გათვალისწინებაზე, მოახდინოს ამ ქმედებების დოკუმენტირება და ანალიზი.
- კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების პროცესი უნდა იყოს ფორმალიზებული და აქტიური.
- საჭიროა მეტი ფორმალიზაცია სადოქტორო საფეხურზე კვლევის მხარდაჭერის მიმართულებით.
- შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის.
- წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციაბში. მნიშვნელოვანია, ბსუ-მა უზრუნველყოს, რომ კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენების პროცედურა იყოს გამჭვირვალე და ფორმალიზებული.
- უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გააერთიანა გარკვეული რეკომენდაციები, რაც ექსპერტთა დასკვნაში დეტალურად იყო აღწერილი. საერთო შთაბეჭდილებად ჯგუფს დარჩა, რომ დაწესებულებაში იყო მნიშვნელოვანი წინსვლა. არსებობდა სამსახური, რომელიც კვლევების განვითარებაზე მუშაობდა, იყო ინტერნაციონალიზაციის საკმაოდ მაღალი ხარისხი, იყო მიმდინარე კვლევების შეფასების მექანიზმი, ანუ ანგარიშები, რომლებიც წარდგენილი იყო ინსტიტუტებიდან მუდმივად განიხილებოდა და ეს იყო დადებითი სურათი, უბრალოდ იყო რაღაცეები რასაც არ ჰქონდა პროცედურული ხასიათი და მექანიზმის დონეზე არ იყო აყვანილი, მაგალითად 6.3 სტანდარტის კომპონენტი, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს მარტივად დასაკმაყოფილებელი იყო, თუმცა რეალურად იმისთვის, რომ აღნიშნულ კომპონენტში მიეღო სრული შესაბამისობის მაჩვენებელი საჭირო იყო დაწესებულებას ეჩვენებინა, რომ კვლევის შედეგების მონიტორინგს იყენებს ინსტიტუცია მომდევნო კვლევების დაგეგმისთვის, რაც ექსპერტებმა დიდი მონდომების მიუხედავად ვერ დაინახეს, მაგალითად სტუდენტებისა და დოქტორანტების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში, ექსპერტებმა ნახეს, რომ ისინი დადიოდნენ სემინარებზე აჰყავდათ უცხოელი თანახელმძღვანელები, აქვეყნებდნენ უცხოურ ჟურნალებში, რაც ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ ვერ იპოვეს მექანიზმი, რომელიც ამას არეგულირებდა, შესაბამისად ექსპერტებმა ვერ შეაფასეს აღნიშნული კომპონენტი სრულ შესაბამისობაში.

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს ასევე ესწრებოდა ექსპერტი ქეთევან კანკავა, თუმცა სამწუხაროდ ვერ ესწრებოდა ექსპერტთა ჯგუფის მესამე წევრი, ნიკოლოზ ფარჯანაძე, რომელიც ასევე იმყოფებოდა ავტორიზაციის შეფასება 2 წლის წინ.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების რექტორი, მერაბ ხალვაში მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს, გამოხატა უდიდესი პატივისცემა და მადლიერება. რექტორმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია რომელიც მიიღეს როგორც საპილოტე ავტორიზაციის დროს ასევე ძირითადი ავტორიზაციის დროსა და ანგარიშის დროს აბსოლუტურად ყველა იყო მათთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი, იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო მდგომარეობა, როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია 7 სტანდარტიდან 4 სტანდარტში მიიღო სრული შესაბამისობა, მე-2 სტანდრტში მეტწილად შესაბამისობა და 1 სტანდარტში, კერძოდ მეექვსეში ნაწილობრივი შესაბამისობა და ეს მეტ-ნაკლებად სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული, საკმაოდ რთული იყო, რაზეც ექსპერტმაც ისაუბრა და რექტორმაც აღნიშნა, რომ მისი აზრით ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული სტანდარტი, რომლის განვითარებაც უცებ არ ხდებოდა და ის მოითხოვს დროს.

დაწესებულების რექტორმა, მერაბ ხალვაშმა აღნიშნა, რომ როდესაც საუბარი იყო დაწესებულებაში არსებულ მეცნიერებაზე, ძირითადად მოიაზრებოდა კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც მანამდე იყო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემდეგ შეუერთდა აღნიშნულ დაწესებულებას და საკმაოდ რთული პროცესი გაიარეს, დაახლოებით 5 წელი დასჭირდა იმას რომ მომხდარიყო მათი ადაპტირება საუნივერსიტეტო სივრცეში, სამივე ინსტიტუტი დაწესებულებას შეუერთდა ყოველგვარი მატერიალური ქონების გარეშე, შენობებისა და განადგურებული ინფრასტრუქტურით და მათ მთელი წლები მოანდომეს რომ მომხდარიყო ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის აღდგენა. რექტორმა მაგალითად მოიყვანა ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მდებარეობდა ქობულეთში და ერთ-ერთი სტრატეგიული დანიშნულების ინსტიტუტი იყო და რომელიც შენობის გარეშე იყო, ხოლო დაწესებულება მოახერხა ახალი შენობის აშენება და ახალი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, უნივერსიტეტისთვის სამეცნიერო მიმართულება, მეცნიერება, კვლევებისათვის ხელშეწყობა და ყველა ის პრობლემა რომელიც გამოკვეთილი იყო და გაცემული იყო რეკომენდაციები პრიორიტეტულ ხასიათს ატარებდა, რადგან მათ ჰქონდათ პრეტენზია რომ შეენარჩუნებინათ უნივერსიტეტის სტატუსი, მით უფრო, რომ დაწესებულებაში ამის რესურსი ნამდვილად ჰქონდა. რექტორმა ასევე დასძინა, რომ ილუზია ამ პრობლემების მოკლე დროში მოსაგვარებლად არ არსებობდა, თუმცა დაწესებულება ვითარდებოდა დინამიურად, ეტაპობრივად და წარმატებით., რაც ვლინდებოდა ექსპერტების შეფასებებშიც, რომელიც ასევე უმჯობესდებოდა სხვადასხვა შეფასებების ფარგლებში, თუმცა იყო გარკვეული საკითხები, რომელიც დამატებით მუშაობას მოითხოვდა. მაგალითად რექტორმა მოიყვანა აკადემიური პერსონალის მიმართ დაწესებული მოთხოვნები, რომელიც გაიზარდა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ ეს იქნებოდა ეტაპობრივად და შეთანხმდნენ რომ ყველას უნდა ემუშავა იმისთვის, რომ მაღალი მოთხოვნები გაიზრდებოდა პროფესორებთან ერთად ასოცირებული და ასისტენტ პროფესორებისთვისაც.

დაწესებულების რექტორმა გაუსვა ხაზი რეკომენდაციას ფინანსურ ნაკადებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ დღემდე ვერ მოახერხა ფინანსური ნაკადების წარმართვა იმ პრიორიტეტების, მეცნიერების იმ მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დაწესებულებას მიერ პრიორიტეტებად იქნება გამოცხადებული, მათ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს, მთელი წელიწადნახევარი ფაქტობრივად ამას დაუთმეს, საკმაოდ რთული პროცესი იყო, დაწესებულების დეპარტამენტებმა, ფაკულტეტებმა ყველა ამ რესურსის მობილიზებით, აკადემიური, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, კვლევები, სად რა კვლევები იყო და რა პოტენციალი ჰქონდათ, ამის მიხედვით შეთანხმდნენ, ჩამოაყალიბეს პოლიტიკა რა იქნებოდა პრიორიტეტები დაწესებულებისთვის, რომ დაწესებულებამ წარმართოს ფინანსური ნაკადები ამისკენ და საილუსტრაციოდ დაასახელა მაგალითი, რომ მათი ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო აგრარული მიმართულება, შესაბამისად აგრარული მიმართულებით დიდი ფინანსური

რესურსები წარმართა დაწესებულებამ, ლაბორატორიების აღჭურვა/განახლებისათვის და ა.შ., უბრალოდ ვერ მოხერხდა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თუმცა შეაჩერეს, შიდა გრანტი ფაქტობრივად წელს არ აამუშავეს, რადგან ამ შემთხვევაში შიდა გრანტი გამოცხადდება მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, ანუ დაწესებულება ასე ტოტალურად აღარ დააფინანსებდა ყველა სფეროს, ანუ შიდა გრანტი მიმრთული იქნებოდა პრიორიტეტებზე. ასევე რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში იყო სხვა საკითხებიც, რომელიც დაწესებულებამ ზედმიწევნით ვერ შეასრულა, თუმცა მიდიოდა აქტიური სამუშაოები
აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და რექტორის ბრძანებით მიიღო, განსაზღვრულია სპეციალური სამოქმედო გეგმა, სადაც აღნიშნულია რომ ყველა რეკომენდაცია ჩაშლილი შესრულების ვადების მითითებითა და გარკვეული სტურქტურების მითითებითაც კი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამ სამუშაოების შესრულებაზე და მოიცავდა 2020-2021 წლებს. რექტორმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტებს, რადგან ის რეკომენდაციები რომლებიც წლების განმავლობაში მიიღეს და ამ ეტაპზე ანგარიშის ფარგლებში, მხოლოდ და მხოლოდ წაადგებოდა დაწესებულების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა რექტორს და ჰკითხა დაწესებულების სხვა წარმომადგენლებს ხომ არ სურდათ რამის დამატება, ან შეკითხვები ხომ არ იყო საბჭოს მხრიდან.
ვინაიდან კომენტარი არავის ჰქონდა, საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასვა კითხვა, რომელიც გულისხმობდა წახალისებულიყო დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, რა გეგმები ჰქონდა ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას.

რექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოს ესწრებოდა თამარ მაჭუტაძე - სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი და ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, რომლებიც უფრო კონკრეტულად ისაუბრებდნენ, თუმცა მან განაცხადა, რომ ესეც იყო დაწესებულებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი და მივლინების წესში ცალკე გამოიყო დოქტორანტებისათვის დაფინანსება და შიდა გრანტის წესში - ახალგაზრდა მკვლევარებისა და უფრო ზუსტად დოქტორანტებისათვის ცალკე ფინანსური ნაკადები, რომელიც მხოლოდ ამ მიმართულებით იქნება გახარჯული და ეს თავისთავად ნიშნავდა ხელშეწყობას, რაც შეეხებოდა სართაშორისო პროექტებს, აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტებმა თქვეს, ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მართლაც სხვა ქვეპუნქტებთან შედარებით განსაკუთრებით კარგად დგას აღნიშნულ დაწესებულებაში, თითოეულმა მათაგანმა ნახა უკანასკნელ პერიოდში Webometrics-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელმაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის 5 დაწესებულებას შორის დაასახელა, აქ საუბარი იყო სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაზე, საერთაშორისო ბაზებში.

რექტორმა სიტყვა გადასცა სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსს, თამარ მაჭუტაძეს.

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი, თამარ მაჭუტაძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს ძალიან მნიშვნელოვანი და საგულისხმო რეკომენდაციებისათვის, რაც შეეხება დოქტორანტების ჩართვას ინტერნაცინოალიზაციაში, განაცხადა, რომ ეს მიმართულება უმნიშვნელოვანესია, დაწესებულებაში არის რამდენიმე ერთობლივი სადოქტორო პროგრამა, ესენია: ჰუმანიტარული მიმართულებით, არქეოლოგიის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მიმართულებით, ამის გამო ფიქრობდნენ რომ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, გარდა ამისა სულ დაწესებულება ჩაერთო Jean Monnet-ის ერთ-ერთ პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა სტუდენტებისა და მათ შორის დოქტორანტების ჩართულობას, რაც ძალიან

მნიშვნელოვანი იყო, რადგან იკვეთებოდა სწრაფვა იმისკენ, რომ ინტერნაციონალიზაციაში დოქტორანტები ყოფილიყვნენ ჩართულნი, დოქტორანტებს აუცილებელი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო, რომ სანამ გავიდოდნენ ისინი საჯარო დაცვაზე, ექსპერტები და უცხოელი ექსპერტი აფასებდა მათ საერთაშორისო ნაშრომს, ინტერნაციონალიზაციის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ეს იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის ყველაფერი ნათელი იყო და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ან რაიმე კომენტარი.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მოსაზრების დანერგილი ჰქონდათ კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, მას აინტერესებდა ეს სისტემა რა მეთოდოლოგიით მუშაობდა, რადგან საკმაოდ რთული საკითხი იყო კვლევის ხარისხის შეფასება და ამიტომ როგორ ამუშავებდნენ ამ სისტემას.

თამარ მაჭუტაძემ უპასუხა, რომ დაწესებულებაში ჯერ კიდევ 2017 წლიდან მუშაობდა შეფასება, რომელსაც არეგულირებდა აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული წესი, ეს იყო სამეცნიერო პირების შეფასების წესი და დაწესებულებაში ექსპერტებმა ალბათ ნახეს პორტალი APA, სადაც როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო პირი ვალდებული იყო წლის განმავლობაში მოეხდინა თავისი მონაცემების შევსება, რომელსაც აფასებდა სამეცნიერო პერსონალს - ინსტიტუტის დირექტორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამეცნიერო კვლევების სამსახური, პრორექტორი სამეცნიერო მიმართულებით, მოცემული იყო კრიტერიუმები პატენტზე, სტატიებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე, დოქტორანტების ხელმძღვანელობაზე და ა.შ. რის მიხედვითაც ხდება შეფასება.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი გასაგები იყო, თუმცა მას აინტერესებდა რა მეთოდოლოგიას იყენებდნენ კვლევითი ნაშრომის ხარისხის შეფასებისთვის. მას აინტერესებდა როგორ ფასდება ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რაც შეეხებოდა ხარისხს, უმსხვილესი ბაზები იყო Web Of Science, Scopus და ა.შ. ისინი ყოველწლიურად სწავლობდნენ გამოქვეყნებული სტატიების სტატისტიკას და ჰქონდათ ბაზა შექმნილი ფაკულტეტების, დეპარტამენტების მიხედვით, სადაც აღნიშნული იყო, რომელმა დეპარტამენტმა რომელ პერიოდში რამდენი სტატია გამოსცა ამა თუ იმ უმნიშვნელოვანეს ბაზაში, რომელიც ინდექსირებადი იყო და ამის მიხედვით ახდენენ შეფასებას. საბჭოს წევრმა დაამატა, რომ ანუ ძირითადად რაოდენობრივ შეფასებაზეა საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ასეთ ბაზებში არ ხდებოდა ისეთი სტატიების გამოქვეყნება, რომლებიც არ იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ანგარიშში წაიკითხა, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებისთვის მოწვეული პერსონალისთვის ტარდება ტრენინგები, მას აინტერესებდა რა ტიპის ტრენინგებზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამეცნიერო კვლევების სამსახური სულ 2 წლის შექმნილი იყო და ისინი ცდილობდნენ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის შეექმნათ სხვადასხვა სახის პრეზენტაცია, რომლებიც ეხებოდა ჟურნალებს, სხვადასხვა ბაზებს, ეს დაწესებულებაში რაც განხორციელდა, რადგან ამას ჰქონდა სისტემატური ხასიათი და ამ პრეზენტაციებს არა მარტო ფაკულტეტებზე ატარებდნენ, არამედ გადიოდნენ და სამეცნიერო ინსტიტუტებისთვისაც ატარებდნენ, რაც შეეხებოდა სხვა ტრენინგებს დაწესებულება

ძირითადად აფინანსებდა ტრენინგებს, ბიუჯეტში იყო ამისთვის თანხა, ატარებდნენ როგორც ქართველი ასევე უცხოელ ტრენერებიც.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა სთხოვა კონკრეტულად აღნიშნოს, რადგან ანგარიშში საუბარია კვლევით უნარებზე. თამარ მაჭუტაძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო მიმართულებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, ვიწრო სპეციალობით. იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ ყველაფერი გასაგები იყო და მადლობა გადაუხადა თამარ მაჭუტაძეს.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ აღნიშნა, რომ სხვაგან არ იცის სად ატარეს/მიიღეს ტრენინგი, მაგრამ ახლა გაიარა აკადემიურმა პერსონალმა ტრენინგი მის ორგანიზაციაში 3R პრინციპში დახელოვნდნენ და კლინიკური ჰემორეოლოგიაში რამდენიმე ახლაგაზრდა მკვლევარი იყო ჩართული. ასევე, განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო სრულყოფილად არ იყო მონიტორინგი, უფრო სწორად დარწმუნებული იყო რომ აქვთ, მაგრამ ვერ/არ წარმოაჩინეს თავი, რადგან თუ საბჭოს წევრები Scopus-ს ავლებენ თვალს ან თუნდაც Google Schoolar-ს, მაშინ ძალიან მარტივი იყო წარმატების ინდექსის დათვლა, განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერების მიმართულებით. მან დაწესებულებას ჰკითხა, რით ასტიმულირებდნენ ისინი მათ შიგნით მოპოვებულ წარმატებას, რითი განსხვავდებოდნენ წარმატებული ადამიანები ნაკლებად წარმატებული ადამიანებისგან, წარმატებულებისთვის რა სტიმული იყო.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ 19:37 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო წახალისების მექანიზმი ამ შემთხვევაში იმ პირების მიმართ, რომელთაც ჰქონდათ მაღალი მონაცემები, მათ ქონდათ რამდენიმე ვარიანტი, ერთ-ერთი მათგანი აკადემიურმა საბჭომაც მიიღო, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში ზუსტად იყო გაწერილი რომელ გამოცემებში/ბაზებში გამოქვეყნებას ეხებოდა, რომ ამ შემთხვევაში პროფესორს ეს ეთვლება, როგორც 90 აკადემიური საათი, ასეთი პროექტიც ჰქონდათ, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ვერ აამუშავეს, თუმცა ეს დადგენილება დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ იყო მიღებული, ასევე მან ახსენა მივლინება, ეს იყო მათი მივლინებების დაფინანსება, არა ნაწილობრივი, არამედ მთლიანი მივლინებების დაფინანსება და სტატისტიკის მიხედვით თუ 2015 წელს სამივლინებო თანხა კონკრეტულად სამეცნიერო მივლინებები დაწესებულებაში შეადგენდა 35.000 ლარს, დღეს შეადგენდა ნახევარ მილიონ ლარს და სწორედ იყო ეს ორიენტირებული იმ წარმატებულ მეცნიერებებზე, რომელთა ვიზიტიც მხოლოდ ვიზიტით არ სრულდებოდა და სრულდება სერიოზულ გამოცემებში მათი სტატიებით და ასეთი პერსონალი მათი მხრიდან რა თქმა უნდა მხარდაჭერილი იყო ფინასურად და აგრეთვე ვიზიტების დროს უქმნიდა მექანიზმს რომ მას არ შეეშალა ხელი სასწავლო პროცესში, ამ ეტაპზე დაწესებულება ამზადებს პროექტს, რომ აკადემიური საათების ჩათვლასთან ერთად იყოს ფულადი წახალისება, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ვერ ამბობდა, რადგან ჯერ მხოლოდ პროექტი იყო და ერთი მოსმენით მოხდა აკადემიურ საბჭოზე გატანა, მოხდებოდა წახალისება ამ კატეგორიის მეცნიერების.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ ბოდიში მოიხადა, რომ ასე ღრმად შედიოდა, თუმცა ეს მისი ინტერესის სფერო იყო და მას აინტერესებდა აფილირების შემთხვევაში რა ხდებოდა, რადგან წარმატება არ გამორიცხავდა რომ არააფილირებულიც ყოფილიყო წარმატებული.

რექტორმა უპასუხა, რომ მათ ფაქტობრივად არააფილირებული პროფესორი არ ჰყავდათ და მათთან ეს პრობლემა არ იდგა. საბჭოს წევრმა მადლობა გადაუხადა რექტორს.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ამ შემთხვევაშიც ნათელი იყო სურათი, დაწესებულებამ დადებითი დინამიკა აჩვენა, ის რომ შეფასება იყო გაუმჯობესებული ეს იყო

ფაქტი და რა თქმა უნდა ესეც იყო მომავალი განვითარებისთვის გარკვეული ორიენტირები. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის, რადგან ეს რეკომენდაციები და რჩევები ძალიან სასარგებლო იქნება დაწესებულებისთვის შემდეგი განვითარების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 19:41 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა:19:43 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ: 245428158) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 19:50 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ